

24 საათი

"24 საათის" ფიქციური ნომერი

*2424

პრესმედიაციონი

A3



ბოძვა უსინდისობის
ზღვარზე თუ
სამოქალაქო
ცვადაცობა

A4



აჰმადინეჰადი ოზამას
ირანის საზინაო
საქმეებში ჩარევისთვის
აპრიტიკებს

A7



24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

პიპი
პენის სადაზღვეო ჯგუფი

უსაფრთხოება რუსულად

დასავლეთმა კრემლს ვერ გაუგო

დიმიტრი ავალიანი

უსაფრთხოების საკითხების შესახებ გამართულ ეუთო-ს არაფორმალურ სამიტზე რუსეთის იზოლაცია კიდევ ერთხელ გამოიკვეთა. საერთაშორისო თანამეგობრობა მოსკოვს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მისიების განახლებას სთხოვს, მაგრამ დასავლეთის დიპლომატიური შეგონებები კრემლზე ნაკლებად მოქმედებს და მოსკოვი პოზიციას არ იცვლის. რუსეთთან უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობა ნატო-მაც განახლა, თუმცა საქართველოს საკითხზე უთანხმოება ორივე მხარემ დააფიქსირა.

ეუთო-ს არაფორმალური მინისტრიალი, რომელიც გუშინ საბერძნეთის კუნძულ კორფუზე ჩატარდა, ძირითადად, უსაფრთხოების საკითხებს მიეძღვნა. საქართველოს მხრიდან სამიტს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია დაესწრო. მინისტრიალზე საქართველოს თემის დიდი ყურადღება დაეთმო.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე ქვეყანა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დორა ბაკოიანისმა განაცხადა, საქართველოში ეუთო-ს მისიის შეწყვეტის მიუხედავად, კონფლიქტის ზონებში უსაფრთხოების შესანარჩუნებლად მუშაობა კვლავაც გაგრძელდება.

ბარძქალება A2 გვერდზე



პიკასო თბილისში - ის, ვინც მხოლოდ პოულობს

სოფო კილასონია

1962 წელი, საფრანგეთის სამხრეთი - ცხელი და ფერადი კანი. მისთვის შემოდგომის სიყვარული იწყება - ძლიერი ხასიათის ახალგაზრდა ქალი - ჟაკლინი, ქალი, რომლის შეძლებაც და მოზერება მან ვერ მოასწრო. შესაბამისად, მის ბოლო პერიოდის მხატვრობაში უკანასკნელი მეუღლე, ფორმისეული დეფორმაციების მიუხედავად, თითქმის ყველგან რომანტიკულ ხლართებშია გაბმული. 80 წლის ესპანელი ფრანგის, პაბლო პიკასოს სიცოცხლის ერთი წელიწადი - 1962 წელი, მისი გამოცდილი მხატვრული ფანტაზიების 40 ნიმუში - გრავიურა და მისი უკანასკნელი სიყვარულის დიდი და ლამაზი ისტორია გამოფენის სახით უკვე თბილისში გელოდებათ. 2 აგვისტომდე ეროვნული მუზეუმში შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმში პაბლო პიკასოს გამოფენაზე გვეპატივება.

ბარძქალება A11 გვერდზე



ლომაია გაერო-ს უშიშროების საბჭოს მდივანს მიმართავს

გაერო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ალექსანდრე ლომაია გაერო-ს უშიშროების საბჭოს მდივანს მიმართავს უგზავნის. სამგვერდიან წერილში ლომაია რუსეთის მიერ საქართველოსადმი აგრესიის განხორციელებული აგრესიის შედეგების და რეგიონში შექმნილი რთული ვითარების შესახებ საუბრობს. ქართველი დიპლომატი წერს, რომ რუსული აგრესიის შედეგად საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია, 600 ათასი ადამიანი კი საკუთარ ქვეყანაში დევნილად არის ქცეული.

ამ ფონზე, ლომაია შემოფოთებას გამოთქვამს გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის დაბლოკვის გამო. იგი გაერო-ს უშიშროების საბჭოს, რომელსაც დღეისთვის თურქეთი ხელმძღვანელობს, აფხაზეთში შექმნილი მძიმე ვითარების შესახებაც აწვდის ინფორმაციას.

პირველი

ვანდალიზმი

გალის რაიონის სოფლებში ოტობაიასა და ნაბაკევიში აფხაზმა სეპარატისტებმა და ჩეჩენმა "ბოევიკებმა" ჯავშანტრანსპორტიორებით ჯვრები გადათელეს. ამის შესახებ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის უფროსის მოადგილემ თორნიკე კილანავამ განაცხადა.

"დღეს შეიარაღებული სეპარატისტები და ჩეჩენი ბოევიკები ფიზიკურად გაუსწორდნენ ქართულ მოსახლეობას, რომელიც საეკლესიო რიტუალს ასრულებდა. მოსახლეობამ აღნიშნული სოფლების შესასვლელსა და ცენტრში ჯვრების აღმართვა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ზემო აფხაზეთიდან სასულიერო პირები გამოაძევეს და ქართულად წირვა შეწყდა. სწორედ ამ ჯვრებთან ატარებდა ქართული მოსახლეობა საეკლესიო რიტუალებს, დღეს კი ოკუპანტებმა მათ ამის საშუალება აღარ მისცეს, მოსახლეობა დაარბიეს, ჯვრები გადათელეს და მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში, მოსახლეობას უფრო სასტიკად გასწორებით დაემუქრნენ," - განაცხადა კილანავამ, რომელიც მომხდარ ფაქტს ვანდალიზმს უწოდებს.

მისივე თქმით, "ეს ყველაფერი იმ ტერიტორიაზე მოხდა, სადაც რუსი ოკუპანტები არიან განლაგებულნი. მათ თავისუფლად შეეძლოთ ამ ფაქტზე რეაგირება მოეხდინათ, თუმცა არაფერი მოუქმედებიათ."

პირველი

შვებულება ჭერ ადრეა

პარლამენტი მომავალი კვირიდან რიგგარეშე სხდომების ფორმატით გააგრძელებს მუშაობას. დეპუტატები ამ დრომდე ვერ აკონკრეტებენ, თუ როდის მოუხვედრება შვებულებაში გასვლა, რადგან, როგორც აცხადებენ, არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აქვთ მისაღები. უხლოესი რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგს კი ბიუროს დღევანდელ სხდომაზე შეაჯერებენ, მათ შორის საგარეო დიპლომატიის განყოფილების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებებიც, რომელიც პატიმრების 5-დღიან შვებულებაში გაშვებას ითვალისწინებს. პარლამენტმა ეს ცვლილება მესამე მოსმენით უნდა დაამტკიცოს.

რიგგარეშე სხდომებზევე მოხდება მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცებაც და პოლიტიკური დებატების გამართვაც, რაც საპარლამენტო ოპოზიციამ, კერძოდ კი ქრისტიან-დემოკრატებმა მოითხოვეს. სამუშაო ფორმატით გაგრძელდება მუშაობა ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსზე, რომელსაც საბოლოოდ საშემოდგომო სესიაზე მიიღებენ. ასევე დაინიშნება მუშაობა პარტიების დაფინანსების მეტი გამჭვირვალობის მიზნით საკანონმდებლო რეგულაციის გაძლიერებაზე.

პარლამენტის საგაზაფხულო სესია 26 ივნისს დაიხურა. საშემოდგომო სესია კი სექტემბრის პირველ სამშაბათს გაიხსნება.

ინტერპრესიუსი

"არარატი" განაწყენდა

ცხინვალში მოქმედი სომხური საზოგადოება არარატი საქართველოს პრეზიდენტისთვის სომხეთის ღირსების ორდენის გადაცემის გამო აღშფოთებას გამოთქვამს. ამის შესახებ ნათქვამია საზოგადოების განცხადებაში, რომელიც ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტმა გამოაქვეყნა.

არარატი ასევე აპროტესტებს მიხეილ სააკაშვილისთვის ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებას და უნივერსიტეტის ოქროს მედლით დაჯილდოებას.

ინტერპრესიუსი

უსაფრთხოება რუსულად

პირველი გვირგვინი

ვიმელოვებთ, რომ გარკვეული შეთანხმების მიღწევას შევძლებთ და საკითხის განხილვას თავიდან დავიწყებთ. ჩემი აზრით, სასარგებლო იქნება, თუკი სამომავლოდ ეუთო-ში კონფლიქტების პრევენციის მექანიზმი ამოქმედდება. როცა დაინახავთ, რომ ამა თუ იმ რეგიონში კონფლიქტის საფრთხე იზრდება, ეუთო-ს დაუყოვნებლივ მოქმედების შესაძლებლობა მიეცემა. ეს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად ვისწავლეთ," - აღნიშნა დორა ბაკოიანისმა და დასძინა, რომ, უსაფრთხოების თვალსაზრისით, ყენევის მოლაპარაკებების გაგრძელება მეტად მნიშვნელოვანია.

თავის მხრივ, წუხილი საქართველოში ეუთო-ს მისიის შეჩერების გამო აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ჯეიმს სტეინბერგმაც გამოთქვა. მან მადლობა გადაუხადა ყველა ქვეყანას, რომელიც საქართველოში მისიის შენარჩუნებას უჭერდა მხარს. "არ შეიძლება, რომ კონფლიქტის განუსაზღვრელად გაგრძელდეს დაუფშვით. იმედია, ამას რუსი კოლეგებიც მიხვდებიან," - განაცხადა ჯეიმს სტეინბერგმა.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბერნარ კუმენერის თქმით, მან საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ევროკავშირის დამკვირვებლების შეშვება რუს კოლეგას პირადად სთხოვა. "თუმცა, რუსეთი ამ საკითხში დამომაზზე ნასვლას კატეგორიულად გამოიტყვეს. ჩვენ რუსეთთან, რასაკვირველია, უნდა ვილაპარაკოთ უსაფრთხოების საკითხებზე, თუმცა შეუძლებელია, არ შევანხროთ მას, რომ ჩვენც გვაქვს გარკვეული პრინციპები," - განაცხადა კუმენერმა და განმარტა: "ერთი მილიმეტრი პროგრესისთვის აუცილებელია, ევროკავშირის დამკვირვებლები ადმინისტრაციული საზღვრის იქით ტერიტორიაზე შეუშვან."

"იმედი მაქვს, ეს დროთა განმავლობაში მიღწეული იქნება და ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს შეიძლება ითამაშოს," - დასძინა კუმენერმა.

რუსეთი საქართველოში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში საერთაშორისო დამკვირვებლების მუშაობას მხარს უჭერს, - განაცხადა, თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. თუმცა, ლავროვმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო მისიებმა თავიანთი მისია სამ სხვადასხვა სახელმწიფოში უნდა განახორციელონ. საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გუმიინდელ სამიტზე ეუთო-ს წევრი ქვეყნების მიერ ევროპის უსაფრთხოებაზე ერთობლივი პოზიციის შემუშავების ინიციატივით გამოვიდა.

თუმცა, მისი ვარაუდით, საკმაოდ ხანგრძლივი დრო დასჭირდება იმ პრობლემების აღმოფხვრას, რაც ამ საკითხების მიმართ ცალმხრივი მიდგომების გამო შეიქმნა.

გუშინ ბერნარ კუმენერმა აღნიშნა, რომ რუსეთის დელეგაცია იმ ევროპის უსაფრთხოების საკუთარი გეგმა წარმოადგინა. თუმცა, როგორც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, ევროპელებისთვის ამ გეგმის დეტალები გაუგებარი დარჩა.

უსაფრთხოების რუსული კონცეფცია გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგა ბოკერიაშვილმა გააკრიტიკა.

"ნატო-სა და ევროკავშირის მეზობლობა არავის უქმნის ხიფათს, თუ კონკრეტულ ქვეყანას განზრახული არ აქვს მეზობელი ქვეყნის საქმეებში უხეშად ჩარევა, ძალის გამოყენება," - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

"რუსეთის კონცეფცია იმის თაობაზე, რომ უსაფრთხოებას პრობლემები ნატო-სა და ევროკავშირის გაფართოებამ შეუქმნა, რა თქმა უნდა, ფუნდამენტურად მიუღებელია საქართველოსთვის და სამიტის მონაწილეთა უმეტესობისთვის."

ტურად მიუღებელია საქართველოსთვის და სამიტის მონაწილეთა უმეტესობისთვის. პირიქით, ნატო-ს და ევროკავშირის გაფართოებასთან ერთად ევროპა უფრო უსაფრთხო ხდება," - განაცხადა ბოკერიაშვილმა სამიტის დაწყებამდე.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილემ, სამიტზე სიტყვით გამოსვლისას, აქცენტი გაამახვილა საქართველოში ევროკავშირის მისიის გაფართოების აუცილებლობაზე, რაც სხვა საერთაშორისო დამკვირვებლების - ეუთო-სა და გაერო-ს მისიების საქმიანობის შეჩერებით არის განპირობებული.

როგორც გიგა ბოკერიაშვილმა სამიტის დასრულების შემდეგ განაცხადა, ყველა მინისტრმა დააყენა თავის გამოსვლაში საქართველოს საკითხი და ისიც აღნიშნა, რომ საქართველოს მიმართ რუსეთის მოქმედება იქნება ტესტი იმის გასარკვევად, რამდენად შესაძლებელია რუსეთის წინადადებების განხილვა უსაფრთხოების საკითხებზე.

გარდა ამისა, მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ ქართულ მხარეს იმედი აქვს, ეუთო-ს წევრები საქართველოში ახალი ტიპის - აღმასრულებელი მისიის დაწყებას დაუჭერენ მხარს, რასაც ეუთო-ს წესდება ითვალისწინებს. კერძოდ, ეს ფორმატი კონფლიქტის რეგიონში საერთაშორისო საპოლიციო ძალების შეყვანის საშუალებას იძლევა.

ეუთო-ს სამიტამდე, 27 ივნისს კუნძულ კორფუზე რუსეთი-ნატოს საბჭოს სხდომა ჩატარდა. საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გამართული ეს სხდომა პირველია მას შემდეგ, რაც ალიანსმა, ავგისტოს ომის გამო, რუსეთთან შეწყვეტილი ურთიერთობა ოფიციალურად განაახლა.

საბჭოს სხდომაზე რუსეთი და ნატო უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის განახლებაზე შეთანხმდნენ.

თუმცა, როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ალიანსსა და რუსეთს შორის კვლავ შეუთანხმებელი რჩება საქართველოს საკითხი.

ეს ორგანიზაციისა და მოსკოვის ურთიერთობაში შემავფრთხილებელი ფაქტორი არ უნდა გახდეს. მე საქართველოს საკითხზე უახლოეს მომავალში შეთანხმებას არ მოველი, მაგრამ ამ პრობლემას შემავფრთხილებელ გარემოებად არ განვიხილავ," - განაცხადა სხეფერმა.

როგორც, თავის მხრივ, სერგეი ლავროვმა აღნიშნა, მოსკოვის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიცვლება და მსოფლიო საზოგადოება ამ ახალ რეალობას უნდა შეეგუოს. "საქართველოს საკითხზე რუსეთის და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პოზიციები განსხვავებულია, თუმცა მოსკოვი, ისევე როგორც ნატო, პოზიციის შეცვლას არც აპირებს," - განაცხადა ლავროვმა.

იგი მიესალმა ალიანსსა და რუსეთს შორის ურთიერთობების აღდგენას. "რუსეთი მხარს უჭერს პარტნიორების მოწოდებას ნდობის აღდგენის შესახებ, თუმცა მიიჩნევს, რომ ეს მოწოდებები პრაქტიკული ნაბიჯებით უნდა გამყარდეს," - აღნიშნა ლავროვმა.

ალიანსსა და მოსკოვს შორის ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომაზე მიღწეული შეთანხმებების რეალიზაცია მომავალი თვიდან დაიწყება. კერძოდ, ნატო-ში რუსეთის ელჩ დმიტრი როგოზინის განმარტებით, მომავალ თვეში სტრატეგიული კონცეფციის საკითხებზე ერთობლივი სემინარი, ასევე ელჩების დონეზე ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომა გაიმართება. ამასთან, ნატო-ს ახალი გენერალური მდივნის ერთ-ერთი პირველი ვიზიტი, როგოზინის თქმით, სწორედ რუსეთში იგეგმება.

ძალის დემონსტრირება

სახელწოდებით

კავკასია-2009

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სწავლება კავკასია 2009", რომლის შესახებაც მედიასაშუალებებში დიდი ხანია ვრცელდება ინფორმაცია, დღეს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქში დაიწყო. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის, შოთა მალაშვიას შეფასებით, აღნიშნული წვრთნები ერთ მიზანს ისახავს - რუსეთს საკუთარი ძალის დემონსტრირება სურს.

რუსული წყაროების ცნობით, სწავლებას რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ხელმძღვანელი, არმიის გენერალი ნიკოლაი მაკაროვი უხელმძღვანელებს.

წვრთნებში რუსეთის თავდაცვის უწყების 8 500 სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას. სამხედრო მანევრებში ჩართული იქნება როგორც სახმელეთო ჯარები, ასევე შავი ზღვის ფლოტი, კასპიის ფლოტილია და საჰაერო ძალების ძირითადი შენაერთები. სწავლებაში მონაწილეობას ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დასალოცირებული რუსული სამხედრო ბაზებიც მიიღებენ. გამოყენებულ იქნება ათეულობით თვითმფრინავი და ვერტმფრენი, 200-მდე ტანკი, 450 საბრძოლო მანქანა და სხვა სამხედრო ტექნიკა.

რუსეთის თავდაცვის უწყების წარმომადგენლის ინფორმაციით, სწავლება ითვალისწინებს ვითარების გამწვავების შესაბამისად, სამხედრო კონფლიქტში ჯარების პრაქტიკული მოქმედების დახვეწას, კონტრ-

ტერორისტული ოპერაციის განხორციელებას, ტერორისტული ორგანიზაციის წევრთა და ხელმძღვანელთა, მათი ბაზებისა და მომზადების ცენტრების განადგურებას.

რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე კოლმაკოვის განცხადებით, მანევრებში გაითვალისწინებენ იმ გამოცდილებას, რომელიც რუსულმა ჯარმა საქართველოში 2008 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებების დროს მიიღო.

რუსულ სამხედრო მანევრებს საქართველოს პარლამენტის წევრი შოთა მალაშვია ეხმიანება. "რუსეთი ახდენს ძალის დემონსტრირებას და ფიქრობს, რომ ეს გარკვეულ შიშს გამოიწვევს, მაგრამ ამას მოჰყვება არა შიში, არამედ სათანადო რეაგირება," - აცხადებს ტერიტორიული

მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით, ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე იმაზე მეტი რუსული სამხედრო კონტიგენტი იმყოფება, ვიდრე საომარი მოქმედებების დროს. ამასთანავე, ქართველი დეპუტატი შენიშნავს, რომ რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების შესაძლებლობები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საერთაშორისო დონეზე საკმაოდ შეზღუდულია."

სამხედრო სწავლება "კავკასია 2009" 6 ივლისს დასრულდება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რუსეთმა "კავკასია-2009"-ზე საერთაშორისო დამკვირვებლების დასწრებაზე უარი განაცხადა.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთი "24 საათის" გამომცემელი შპს "მეზა". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფაჩუაშვილი, პაბატა მუშაბიძე.

რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: შილა ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),

სოფო კილაშვილი (რეგიონი), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რედაქცია:** მარკო ანტონიო მანუჩარი **ირაკლი ლევაჯი** ტელ: 899 22 09 49. **მომხმარებელი ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯემკარიანი, დიმიტრი შულუტაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყაველაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. **ირაკლი გამრეკელი ქ.51. ტელ:** 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). **ფაქსი:** 31-93-86. **ელ-ფოსტა:** public@24hours.ge

ბოდვა უსინდისობის ფლვარზე თუ სამოქალაქო ცვლადობა

მოსკოვის მორიგი ბრალდება

მოსკოვის მტკიცებით, თბილისი ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენას ხელს უშლის.

როგორც გამოცემა ვებგვერდი იუწყება, აღნიშნული გაცხადება გაერო-ში რუსეთის ელჩის მოადგილემ ილია როგაჩოვმა უშიშროების საბჭოში შეიარაღებულ კონფლიქტებში სამოქალაქო პირების უფლებების დაცვის შესახებ გენერალური მდივნის ანგარიშის განხილვისას გააკეთა.

გამოცემის ინფორმაციით, ანგარიშში აღნიშნულია, რომ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის მიღებით საქართველო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის ჰუმანიტარულ დახმარებას კრძალავს.

ყურადღება გავამახვილებთ, რომ ანგარიშში მაგალითად მოყვანილია 2008 წლის შემდგომ კავკასიაში შექმნილი ვითარება. ჩვენ გენერალური მდივნის მადლობელი ვართ იმისთვის, რომ მან რეგიონში ჰუმანიტარული დახმარების მიმართულებით რუსეთის ნაბიჯები პოზიტიურად შეაფასა. გამოვთქვით შეშფოთება იმის გამო, რომ ქართული კანონმდებლობა სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო ჰუმანიტარულ საქმიანობას კრძალავს, - განაცხადა როგაჩოვმა.

ინტერპრესნიუსი

პარტიების დაფინანსების საკითხი კვლავ აქტუალურია

პარტიების დაფინანსების კონტროლის მექანიზმზე წინადადებები ვენეციის კომისიასთან ერთად შემუშავდება. იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი ამ საკითხზე სამუშაოდ პარლამენტში სპეციალური ჯგუფის შექმნასაც არ გამორიცხავს.

პარტიების დაფინანსებისა და პარტიული სახსრების ხარჯვის მეტი გამჭვირვალობის აუცილებლობის, აგრეთვე ამ მიმართულებით უფრო მყარი საკანონმდებლო გარანტიების შექმნის შესახებ განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ გააკეთა.

სპიკერის ამ განცხადების შემდეგ, დეპუტატები არ გამორიცხავდნენ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების გატარებას, თუმცა აღნიშნავენ, რომ ეს ნაჩქარევად არ მოხდება.

ინტერპრესნიუსი

საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქის საკვირაო ქადაგება

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესის და უნეტარესის ილია მეორის განცხადებით, საქართველო გადარჩება, გამთლიანდება და გამშვენდება. ამის შესახებ უნმინდესმა გუშინ სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას ბრძანა და ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ დალოცა.

გუშინვე კათოლიკოსმა იოანე პეტრიწის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა "იბერია", 2009 წლის "ერთიან ეროვნულ გამოცდებში" მონაწილე აბიტურენტები და ორი ქართული გვარის - შარაფიძეების და დვალეების წარმომადგენლები დალოცა. ამასთან, უნმინდესმა მიხეილ კვერელის სახელობის მონასტრის წინამძღვარი მამა ალექსი (ჩახვაშვილი) გამშვენებელი ჯვრითა და მიტრის ტარების უფლებით დააჯილდოვა.

პირველი

რუს სამხედროებს ჰაუპტვახტები არ ჰყოფნიან

რუსეთის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის, იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტის ვლადიმერ ხომჩიკის განცხადებით, "რუსეთის შეიარაღებულ ძალებში ჰაუპტვახტების საჭირო რაოდენობის არარსებობა სამხედრო დისციპლინის დამრღვევების მიმართ დისციპლინარული დაკავების გამოყენების საშუალებას არ იძლევა".

მისივე თქმით, გასულ წელს სამხედრო სასამართლომ დისციპლინარული დაკავების გადაწყვეტილება 1,5 ათასი სამხედრო მოსამსახურის მიმართ გამოიტანა, რაც აშკარად არასაკმარისია წლიდან წლამდე არმიასა და ფლოტში სამხედრო დანაშაულების გაზრდის გათვალისწინებით".

ამასთან, გენერლის განცხადებით, შეიარაღებულ ძალებში ამჟამად, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი თანამედროვე ჰაუპტვახტი მოქმედებს, რომელიც მოსკოვის გარეუბანში, ალაბინსკის გარნიზონშია განთავსებული.

პირველი

ნიკოლოზ რარია

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი

ამ გაზეთში საავტორო სვეტებს ვკითხულობ ხოლმე, ოღონდ ყველა ავტორისას - არა. ზოგი, უკაცრავად, მაგრამ ისეთი უნიჭობაა, ან ისეთი უსაფუძვლო ამპარტავნებით გაჯერებული უსუსურობა, რომ ამისთვის დრო არ მეშველება. ამჯერადაც არ გავიწყობდი, მეგობარს რომ არ ერჩია, ერთ-ერთი მესვეტის ნაშრომისთვის თვალი გადამეკვლო. დაეთანხმდი, ნავიკითხავ-მეთქი და უმალ მივხვდი, რომ შევცდი.

არსებობს ფსევდო-ინტელექტუალური ანტი-ინფორმაცია, რომელიც გონებას მხოლოდ ანაგვიანებს, და გემოვნებისთვისაც მაცნეა. ხელში სწორედ ასეთი რამ შემერჩა. ზოგიერთმა იქ გამოთქმულმა მოსაზრებამ ისე გამაზრაზა, რომ ჩემთვის უჩვეულო რამ - ამ მოსაზრებებისთვის პასუხის გაცემა გადამანწყვეტინა.

ეს არ არის მხოლოდ საკუთარი აღშოთების ემოციური გამოხატვა. ჩემი აზრით, არსებობს შეხედულებები, რომელთა უყურადღებოდ დატოვებაც არ შეიძლება, იმდენად მავნებელი ეფექტის მოტანის შესაძლებლობა აქვთ მათ მოჩვენებითი უნიჭიანობის და არამოწვევებითი უნიჭობის მიუხედავად. ისინი ამახსივებენ სიმართლეს და მიმართულნი არიან მორალური ორიენტაციების აღრევაზე.

ეგზისტენციალური ბრძოლის იმ ეტაპზე, რომელზეც საქართველო იმყოფება, ეს სახიფათოა; როდესაც სოციალ-დემოკრატების 25-წლიანმა პროპაგანდამ ეროვნულ იდეაზე ინტერნაციონალიზმის უპირატესობის თაობაზე გასული საუკუნის 20-იან წლებში ჩვენს ხალხი კარგა მაგრად გამოათავსა, საბჭოთა ოკუპაციაც შესაძლებელი გახდა, და შესაძლებელი გახდა სწორედ დემოკრატიული და დაბნეული საზოგადოების არსებობისა გამო.

ასე რომ, დავინწყობ. სვეტის ავტორი სათაურიდანვე გვთავაზობს ფამილარულ-აგდებულ ტონს, რომელიც შემდგომში სხვა "მარგალიტებთან" ერთად მთელ სვეტს თან სდევს. პირველ წინადადებაში იგი ქართველი პოეტი სიმონ ჩიქოვანის მისთვის ცნობილ, მაგრამ რატომღაც აქ არციტირებული (?) ლექსის დასაწყისს იგონებს, იმის იმედით, რომ მის ამ იუმორისტულ პასაჟს მკითხველი ისედაც გაიგებს. ჩემს შემთხვევაში, უშედეგოდ. ალბათ ის აქ ქართული პოეზიის ღრმა ცოდნის დემონსტრირებას ლაშობდა.

მომდევნო პასაჟი პირდაპირ პოლიტიკურ "ანალიზს" ეძღვნება და ავტორი მოთელვას ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ვიზიტის აბუჩად აგდებითა და დაქინებით იწყებს, ვითომ ეს ვიზიტორი იმდენად მომავებრებლად უტალახებს ზღურბლს ან საქართველოს ან სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს, რომ დროა მას პირდაპირ მივუთითოთ უფრო ტაქტიან საქციელზე და ავუხსნათ, რომ დაუპატიჟებელი სტუმრობა, უბრალოდ, უბრალოებაა და მეტი არაფერი.

რატომღაც ეს "ნოუზი", ანუ ახალი ამბავი, რომელიც, სულ მცირე, ძალიან აღიზიანებს და აშფოთებს ჩვენს დიდ მეზობელსა და ოკუპანტს, ავტორს ქართული პოეზიის "ფუტურისტულ ნარსულს" (?) აგონებს. რაიმე ლოგიკური, თუნდაც მიახლოებით კავშირში მყოფი ინდექსის ძებნას ან ასოციაციის გარეშე არ გირჩევთ. ის სახლოვებშიც არ ჭაჭანებს. გაავარძელოთ.



შემდეგ პასაჟში პუბლიცისტი რადიკალურად ცვლის წინ გამოთქმულ "პოზიციას" და ასკვნის, რომ "ეს სოფეტი, სრულიად არაფუტურისტული ანონსი იყო და შედეგად მოყვა ძალიან კონკრეტულ ამბავს, რომელიც თავისთავად ცუდი (!) იყო" (ციტირებისას აქაც და სხვაგანაც სტილი დაცულია).

აქ მოყოლილია ამბავი ჰილარი კლინტონის ხელის მოტყვისა თუ "ბექის ამოგდებისა" (იგი აქ აშკარად ანგლობს - ბექის ამოგდება მას რატომღაც სასაცილო ფაქტი ჰგონია), რატომაც კლინტონმა ქართულ დელეგაციასთან შეხვედრა ვერ შეძლო. ავტორს ეს ფაქტიც "ცუდად" მიაჩნია, მაგრამ აქვე ამშვიდებს მკითხველს, რომ "ამ ფაქტისგან ტრაგედია მაინც არ უნდა შევქმნათ". ვერაფერს იტყვი - საქმე გვაქვს ღრმა პოლიტოლოგიურ ანალიზთან თუ არა, გამჭვირავ დაკვირვებასთან მაინც - ბექის ამოგდება თურმე სასაცილოა, მაგრამ "ცუდად". მივყევთ ისევ ტექსტს.

მორიგ პარაგრაფში ავტორი გვიჩვენებს, რომ "ჯოზადა ამერიკასთან დაკავშირებით ასეთი გადაჭარბებული იმედები, თავიდანვე არ გვექონდა თუნდაც იმის გამო რომ იმედგაცრუება საშინელებაა და ჯობია რომ ყოველთვის საკუთარი თავის იმედი უფრო მეტად გვექონდეს, ვიდრე რუსეთის ან თუნდაც ამერიკის". არ ვიცი, მას რა იმედები ჰქონდა - ის მათზე დუმს, მაგრამ იმ ყველაფერზე, რასაც ამბობს, შეიძლება ითქვას, რომ რკინის ლოკი გააჩნია - იმდენად რამდენადაც ნებისმიერი იმედგაცრუება "საშინელებაა", არაფრით არ ღირდა საქმის დაჭრა (მათ შორის სამხედრო-პოლიტიკურის) თავისუფალი სამყაროს ლიდერთან და მსოფლიოს ყველაზე ძლიერ დემოკრატისთან (დღეს უკვე საერთაშორისო სამართლის დოკუმენტით გაფორმებულ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან - აშშ-სთან). როგორც ითქვა, ავტორი არ აზუსტებს, თუ რაში გაუცრუა მას იმედები, თან ასე საშინლად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელმაც გადამწყვეტ მომენტში (ახლა უკვე, ჩემი აზრით) უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა საქართველოს მთლიანი ოკუპაციის აღსაკვეთად, და გათავხედებული აგრესორის შესაჩერებლად საკუთარი, ყველაზე ძლიერი, მეექვსე ფლოტი დაძრა საჭირო ძალების მნიშვნელოვანი ნაწილის კონცენტრაციასთან ერთად საკუთარ ბაზებზე თურქეთსა და რუმინეთში. ამ ყველაფერმა ავტორთან ერთად იმედი ასევე გაუცრუა რუსეთს - იმედი, რომ ის შეძლებდა დაუსჯეულად ბევრად პატარა და ბევრად თავისუფალი მეზობლის ხელახლად დაპყრობას.

და კიდევ ერთი - პუბლიცისტი დიდაქტიკური ტონით აღნიშნავს, რომ "ყოველთვის საკუთარი თავის იმედი უფრო მეტად უნდა გქონდეს, ვიდრე რუსეთის (!) ან თუნდაც (!!!) ამერიკის". უბრალოდ მაინტერესებს, იმ უბანალურესი ტრუიზმის-

გან დამოუკიდებლად, რომ საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეს - როდის ჰქონია ავტორს ან ნებისმიერ სხვა არამურაცხად ქართველს "რუსეთის იმედი"? როდის? 1921-ში? 1924-ში? 1937-ში? 1956-ში? 1978-ში? 1989-ში? 1992-ში? 1994-ში? 2008-ში? როდის?

ან შეიძლება კი (ჩვენი ისტორიიდან გამომდინარე) დახმარების აღმოჩენის მოლოდინის საკითხში ერთ დონეზე დაეაყენოთ რუსეთი და თუნდაც ამერიკა? რა არის ეს - ზღვარგადასული ექსტრავაგანტულობით ყურადღების მიქცევისა და უცხვირპირო ორიგინალობის დაუოკებელი სურვილი, თუ მიზანმიმართული ნაცარი ჩვენს ისედაც დაბნეული საზოგადოების თვალში? მინდა მჯეროდეს, რომ მაინც ბოლოვით კატეგორიულად გვაქვს საქმე.

შემდეგი მარგალიტი" ამბობს, რომ დიდმა ამერიკულმა გემებმა (იგულისხმება შეერთებული შტატების მეექვსე ფლოტი) მხოლოდ წყალი შემოგვაშველეს და მეტი ვერაფერი", რისთვისაც ავტორი რეალური უმაროლო, მაგრამ მაინც მაღლიერებას გამოხატავს ნაჩუქარი ცხენის კბილთა არშემოწმების პრინციპიდან გამომდინარე. თუმცა იქვე საყვედურობს უყურადღებო ამერიკელებს, ვინც თავიცი არ შეინუხა იმის დადგენით, რომ საქართველოში (ერაყისა და ქუვეითის უდაბნოებისაგან განსხვავებით) ყოველი ფეხის ნაბიჯზე უგემორიელესი წყაროების მოჩუქჩუებენ".

ნუ, რას იზამ, ეს ამერიკელები ხომ სხვა კულტურებისადმი გამორჩეული უპატივცემულობით გამოირჩევიან, მაშინ როცა რუსეთის ჩვენი სამშობლოს არა მხოლოდ ნებისმიერი წყარო ან კურორტი ახსოვს, არამედ თავდავინწყებით უყვარს და ამ სიყვარულიდან გამომდინარე, მათგან საუკეთესოების წართმევანაგლეჯვასაც ლაშობს თავდაუზოგავად, ვინაიდან როგორც ეს ნამდვილ მიჯნურს შეეფერება, მათ გარეშე საკუთარ არსებობაში აზრს ვეღარ ხედავს.

ჩვენი მისის ოკუპირებული ერთი მეხუთედი ერთი წუთით იქით გადავდით, და ვიკითხოთ - თუ ავტორს ბათუმსა და ფოთში შემოსული აშშ-ს საზღვაო ფლოტის მოიერიშე ძალები მართლა წყლისა და პამპერების ჩამომტანები ჰგონია, ამაზე პასუხი ერთი არსებობს - აბა შენა ყოფილხარ, შვილოსან!

მომდევნო მსჯელობა ყველაფერთან ერთად უკიდურესად ელემენტარულ უფიცობას ავლენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ავტორი ასეთი მენტორული ტონითა და აპლომბით გვმოძღვრავს ისტორიულ ფაქტითა "უცოდინარ ხელი-სუფლებას. ის ამბობს, რომ ნოე ყორდანიასაც ჩვენსავით ეგონა რომ საერთაშორისო კომინტერნი (!) და ერთა ლიგა მაინც არ მიგვატოვებდნენ საბჭოთა ურჩხულთან ბრძოლაში".

მესვეტეს, როგორც ჩანს, წარმოდგენა არა აქვს, რა იყო ერთა ლი-

გა და მისი საქმიანობა, და ასევე, რბილად რომ ვთქვათ, ტყემალზე ზის კომინტერნის საკითხშიც. იმ იმედით, რომ მან შესაძლოა ეს ნერვილი ნაიკითხო, შევახსენებ, რომ კომინტერნი, იგივე კომუნისტური ინტენაციონალი (იგივე მესამე ინტერნაციონალი), იყო საერთაშორისო კომუნისტური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა საერთაშორისო ბურჟუაზიის დამხობას, საქორების შემთხვევაში იარაღის საშუალებითაც, საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკის დაარსების მიზნისათვის". კომინტერნი 1919 წელს მოსკოვში შეიქმნა და მას საქართველოს დამოუკიდებლობის, ნოე ყორდანიას და პირველი რესპუბლიკის სხვა ლიდერების დაუძინებელი მტრები - ბოლშევიკები - ედგვნენ სათავეში.

ძალიან საინტერესოა, როგორ შეიძლება ფორდანიას ჩვენსავით გონებოდა, რომ მისივე მტრების შექმნილი და დაკომპლექტებული ორგანიზაცია კომინტერნი მას გადაარჩენდა კომინტერნის შემქმნელი, ანუ ზუსტად ერთი და იმავე ხალხის შემოტყვისაგან? შემთხვევით სიტყვა ახსურდი ხომ არ მოგაგონდათ? მე - მგონი კი. ერთა ლიგაზე კი ორიოდ სიტყვით ვიტყვი, რომ მისი იმედიც ვერ ექნებოდა პირველი რესპუბლიკის თავმჯდომარეს იმ უბრალო მიზეზით, რომ საქართველო არასდროს ყოფილა ამ ორგანიზაციის არც დამფუძნებელთა და არც წევრთა რიგებში; მეტიც, ერთა ლიგის ზოგიერთი წევრი (აშშ, იტალია) იმ დროისათვის ფორმალურად საქართველოს დამოუკიდებლობას არც კი აღიარებდა.

მაგრამ, მეტის თქმა ზედმეტი მგონია - ყველაფერი ნათელია. უბრალოდ, ბოლისკენ ძალიან მაინტერესებს, რა კავშირი აქვს ლუდოვიკოსა და სულხან-საბას დიალოგს, სარკოზი-მედედების ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებასთან. ამ კავშირის განმარტების მაგივრად ავტორი ისევ ტრუიზმით ცდილობს ფონს გასვლას - ჩვენი მთავარი პრობლემების გასაღებიც მხოლოდ ჩვენშია და მთავარია ჩვენ დავებნართ ჩვენ საკუთარ ქვეყანას და მერე სხვებიც დავგებნარებოთ!"

იგი-იგი, რა მარტივად სთქვა?! და რა მთავარია, დამაჯერებლად. ჩვენი მთავარი პრობლემის გასაღები ჩვენში როგორაა, ძმობილო? მაშინ, გვითხარი როგორ? რანაირად? რომელი გასაღები? რომელი პრობლემის? როგორ დავებნართ? რას ნიშნავს ეს პირობული სულისკვეთების აბდაუბდა? საერთოდ, რას მიედ-მოედები, ძვირფასო? არ გერიდება?

როგორც ჩანს, არა. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში, რომელშიც არსებობს კრიტიკული აზროვნების კულტურა, ამგვარ შარლატანურ ბოდვას საზოგადოებას, მით უმეტეს, ასეთ სერიოზულ საკითხებზე, დაუსჯეულად ვერც ერთი პუბლიცისტი ვერ აკადრებდა. მას დაუნდობლად მიუთითებდნენ საკუთარ უფიცობასა და ინტელექტუალურ სიზარმაცეზე. ჩვენში, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ შესაძლოა ამგვარი აბდაუბდა დაუსჯეულად აკადრო ხალხს. ის ალბათ ღირსიცაა.

სვეტი ისევ ქართველი პოეტის, სიმონ ჩიქოვანის მეუღლის ამბით მთავრდება, რომელსაც თურმე პირველს მოუთხოვია საკუთარი ცხედრის კრემაცია, ბუნებრივია, გარდაცვალების შემდეგ. ოღონდ, ამ გულისამაჩუყებელ ფაქტს რუსეთ-საქართველო-ამერიკის ურთიერთობებთან რა კავშირი აქვს, ეს მხოლოდ სვეტის ავტორმა უწყის.

როგორც ამბობენ, კომენტარი ზედმეტია.

ჩვენ კრიზისი არ გვაშინებს

თიბისი ბანკმა მეორმოცე ფილიალი გახსნა

ინოვაციური ნაბიჯი



ახლახან თიბისი ბანკის მენეჯმენტმა ბანკის რიგით მეორმოცე ფილიალი ისნის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე საზეიმოდ გახსნა. ფილიალის გახსნის ცერემონია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე, მოადგილე ბადრი ჯაფარიძე და მენეჯმენტის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საზეიმოდ მხარს უჭერს თიბისი ბანკის და ეკონომიკის რეცესიის პირობებში 2009 წელს ბანკმა რიგით მესამე ფილიალი გახსნა. როგორც ბანკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ეს ტენდენცია წლის ბოლომდე შენარჩუნდება და ბანკი ქსელის გაფართოებას გააგრძელებს. ამ მიმართულებით სერიოზული ინვესტიციების განხორციელება დაგეგმილია.

ჩვენ კრიზისი არ გვაშინებს. მეტიც, ვცდილობთ, ეს პერიოდი მაქსიმალურად გამოვიყენოთ. სამწუხაროდ, დღეს ახალ ფილიალს არავინ ხსნის, პირიქით, ბანკების ფილიალები იხურება. ამიტომ მხარს უჭერს ეს ფაქტი - თიბისი ბანკმა ისანში ახალი ფილიალი გახსნა. მჯერა, რომ 2009 წელს ღირსეულად ჩავატარებთ და 2010 წლისათვის მოვემზადებით. წლის ბოლომდე ფოთში გავეხსნით ბანკის ფილიალს, რომელიც საუკეთესო შენობაში იქნება განთავსებული. საგულისხმოა, რომ ჩვენ მიერ გახსნილი ფილიალებს შემოაქვს საბანკო ბაზარზე ახალი კულტურა და ახალი ტექნოლოგია. ფილიალებში დასაქმებული განათლებული მენეჯმენტი და მომხმარებელს ბიზნესის აბსოლუტურად ახალ წესებს ვთავაზობთ. ჩვენ ვაშენებთ ბანკის დიდ ფილიალს ქუთაისში, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო შენობა იქნება აღმოსავლეთ და დასავლეთ ვერსიაში. ამ პროცესში ბევრი ენობილი და გამოცდილი არქიტექტორია ჩართული.

თული. ამას იმიტომ ვიამბობთ, რომ ჩვენ დიდი შემართებით ვცდილობთ, თიბისი ბანკი უფრო ძლიერი გახდეს.

ახლახან ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში თიბისი ბანკი ყველაზე სანდო ბანკად დასახელდა. გასულ წელს ბანკის სანდოობის პროცენტები 22%-ს შეადგენდა, დღეს 28 პროცენტია. ჩვენს ბანკს სანდოობის პროცენტი მოემატა - ხალხმა კრიზისის ფონზე დაინახა, თუ ვინ არის სანდო. ეს საზოგადოების დამსახურებაა. მთავარია, ბანკში გუნდურების დამსახურებაა. მთავარია, ბანკში გუნდურების დამსახურებაა. მთავარია, ბანკში გუნდურების დამსახურებაა. მთავარია, ბანკში გუნდურების დამსახურებაა.

თიბისი ბანკის ისნის ფილიალი მომხმარებელს სრულ საბანკო მომსახურებას შესთავაზებს, კერძოდ, ბანკის ყველა სახის პროდუქტს და სერვისს. ამავდროულად, ბანკის ფილიალი როგორც კერძო პირებს, ისე სხვადასხვა ორგანიზაციებსა და კომერციულ კომპანიებს მოემსახურება.

ფილიალის გახსნის ცერემონიაზე ბანკის მენეჯმენტმა საზოგადოებას თიბისი ბანკის საქმიანობის ხუთი თვის შედეგები გააცნო. 2009 წლის მაისში ბანკის აქტივები 17 მილიონი ლარით ანუ 1 პროცენტით გაიზარდა. მთლიანი დეპოზიტების პროცენტული ზრდა 22 მილიონი ლარი ანუ 3 პროცენტია, ხოლო წმინდა მოგება 54 მილიონი ლარი შეადგინა.

ფინანსური კრიზისის ფონზე, არსებობს ფინანსური რისკების დეფიციტი, მაგრამ ამის მოუხედავად, უცხოური ბაზრებიდან თიბისი ბანკი 161 მილიონი დოლარის ინვესტიციას გამოიკრძალა და მიზნული რესურსის ნაწილი ბანკის კაპიტალის ზრდას მოხმარდა, ხოლო მეორე ნაწილი გრძელვადიანი საკრედიტო რესურსი, რომელიც ბანკს საშუალებას მისცემს, განაგრძოს აქტივობა მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში. დეპოზიტების ბაზარზე კი თიბისი ახალი პოზიცია ანაბარს დაწერდა, რომელსაც დაგროვების მარტივი და მოქნილი სისტემა აქვს. ახალი ანაბრის მფლობელები 1 წლის განმავლობაში დაგროვებულ თანხაზე ბანკსაგან დამატებით ბონუსს მოიღებენ.

კომპლარული ქართული ბრენდი „ლიკანი“, 2 წლისაა

ნათია ყიფიანი

კომპანია IDS BORJOMI საქართველომ მომხმარებელს მინერალური წყალი ლიკანის ახალი შეფუთვა - მინის ბოთლი წარუდგინა. ბოთლი 0.5 ლიტრის მოცულობისაა და უკვე გამოჩნდა ქართულ ბაზარზე. კომპანიამ ლიკანის მინის ბოთლში ჩამოსხმით გამოიღო პორტფელი და ახლა უკვე ბალანსირებულად და სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი არა მარტო მაღაზიებში, არამედ სასტუმროებში, ბარებსა თუ რესტორნებში. ამიერიდან ბრენდის მოყვარულებს საშუალება ექნებათ, ლიკანი სხვადასხვა ზომის ბოთლებში შეიძინონ.

მინის ბოთლზე მუშაობას კომპანია IDS BORJOMI საქართველოს სპეციალისტები სს მინის ტექნოლოგიებთან ერთად აწარმოებდნენ. ლიკანის ბოთლის ტრადიციული შტრიხები სრულად არის შენარჩუნებული, რადგან ბოთლი, რომელიც ბაზარზეა, ყველაზე ღირსეულია და მომხმარებელში დადებით ემოციებს აღძრავს. ახალ ბოთლში შეიცვალა მხოლოდ ფერი.

დღეს ლიკანი 2 წელი შეუსრულდა. იგი საკმაოდ ახალგაზრდაა, თუმცა ამ პერიოდის მანძილზე მოახერხა და ქართველი მომხმარებლის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ბრენდად იქცა, ბაზრის 25% დაიკავა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საპატრიარქოს ფონდში ამ ორი წლის მანძილზე ლიკანის სახელით გადარიცხულმა თანხამ 250 ათასი ლარი შეადგინა, - განაცხადა IDS BORJOMI საქართველოს გენერალურმა დირექტორმა ზაზა კიკვიძემ.

აღსანიშნავია IDS BORJOMI საქართველოს და საპატრიარქოს ერთობლივი ინიციატივა, რომლის მიხედვითაც ყოველი გაყიდული ბოთლიდან 1 თეთრი საპატრიარქოს საკველმოქმედო ფონდის ანგარიშზე ირიცხება. 2007 წლიდან დღემდე ამ საკველმოქმედო პროექტის ფარგლებში ლიკანმა უკვე 250 ათასი ლარი გადარიცხა საპატრიარქოს ფონდის ანგარიშზე. თანხა პატრიარქოს კურთხევით საპატრიარქოს მიერ განხორციელებულ სოფლის მეურნეობის პროექტებს ხმარდება.

IDS BORJOMI საქართველოს გენერალური დირექტორი ზაზა კიკვიძე აცხადებს, რომ 2-წლიანი არსებობის მანძილზე ლიკანმა მოახერხა, დაფასოებული წყლის ბაზარზე მნიშვნელოვანი წილი დაეკავებინა და ბაზრის ლიდერად ჩამოყალიბებულიყო.

IDS BORJOMI საქართველოს გენერალური დირექტორი ზაზა კიკვიძე 2006 წელს, რუსული ემბარგოს შემდეგ გადაწყვიტა, მომხმარებლისთვის სიახლე შეგვეთავაზებინა ლიკანის სახით. 9 თვე ვმუშაობდით ბრენდზე და 2007 წლის ივნისში ლიკანი ბაზარზე გამოჩნდა. 2 წლის შემდეგ კი შემოიღო განვაცხადო, რომ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. უკვე საექსპორტო პოტენციალიც გაჩნდა, რაც მომავალში ბრენდის კიდევ უფრო პოპულარობას შეუწყობს ხელს. კარგი დაფარვა, ხელმისაწვდომი ფასი, სასიამოვნო გემო, თანამედროვე, დახვეწილი დიზაინი და ბოთლის დამატებითი მოცულობა წარმატების მიზეზად იქცა. გადაწყვიტეთ, 2 წლის თავზე ლიკანი შუშის შეფუთვითაც წარმოგვედგინა და საქართველოში შეგვეფუთა, რაც კომპანია მინის ტექნოლოგიებთან ერთად განხორციელებული. ვინაიდან ჩვენი კომპანიის დევიზია არც ერთი წელიწადი ინოვაციის გარეშე, მომხმარებელს მომავალშიც ბევრ სიახლეს ვპირდებით.

ბაზალეთის ტბის სასტუმრო კომპლექსი კვლავაც საინტერესო სიახლეს ბთავაზობთ

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში დაძაბული სიტუაციაა და რომ პოლიტიკური ზაფხული ცხელია, რეალური ზაფხულიც უკვე ზომამდე მეტად აჭერს და გვიჭირს თუ გვილხინს, ახლა ის დროა, ყოველმა ჩვენგანმა დასვენებაზე და მომდევნო წლისათვის ძალების მოკრებაზე იფიქროს. ღვთის მადლით, ჩვენს ქვეყანაში ბევრია ასარჩევი ადგილი, სადაც არაჩვეულებრივად შეიძლება დასვენება და გართობა. ყველას აქვს თავისი პლიუსი, მაგრამ ის პლიუსი, რომელიც ბაზალეთის ტბის პირას მდებარე სასტუმრო კომპლექსს აქვს, მეტად გამორჩეული და განსაკუთრებულია.

დავინწყით იმით, რომ ბაზალეთის ტბა თბილისიდან 35 კილომეტრში მდებარეობს და იქ მისვლა მსუბუქი მანქანით სულ რაღაც ნახევარ საათშია შესაძლებელი. მერე ის, რომ ტბა ზღვის დონიდან 900 მეტრშია და მთის ჰაერისა და სამკურნალო წყლის არაჩვეულებრივი შეხამება საუკეთესო დამსვენებლისათვის. სულ მალე გაირკვევა ისიც, თუ რა განსაკუთრებულ სასარგებლო თვისებებს ფლობს თავად ბაზალეთის ტბის ტალახი, რომ მისი გამოყენებით მოხდეს ყველა იმ სამკურნალო პროცედურის ჩატარება, რაც ყოველი ჩვენგანის გაჯანსაღებისათვისაა საჭირო.

ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი არ დასვენებებს სთავაზობს სიახლეს. სულ მალე ამოქმედდება სპა-ცენტრი, სადაც დამსვენებლებს მიეცემა საშუალება დაისვენონ, განიტვირთონ, გალამაზდნენ და გაჯანსაღდნენ. ამისათვის ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსის სპა-ცენტრში იქნება:

- მშრალი საუნა;
- არომათერაპია;
- ფსიქოლოგიური განტვირთვა რელაქსაციური ოთახში;
- სამკურნალო, რელაქსაციური, ანტიცელულიტური, ეგზოტიკური მასაჟების უნიკალური კომპლექსი;
- წყალქვეშა მასაჟები არომათერაპიული, ზღვის მარილებით;
- სამკურნალო ტალახისა და პარაფინის პროცედურები.

ყველაფერი ეს არის იმისთვის, რომ თქვენ დახარჯული ენერჯია აღადგინოთ და დაისვენოთ.

ამის გარდა გაიხსნა საერთო გართობის ცენტრიც, სადაც მოეწყობა დისკოთეკა, კონ-



ცერტი ცოცხალი შესრულებით და უამრავი სხვადასხვა სახის გასართობი ღონისძიება.

ბაზალეთის ტბის სასტუმრო კომპლექსში ღია აუზის პირას, სადაც არის როგორც საბავშვო, ისე სტანდარტული სიღრმის აუზი, მუშაობს ღია კაფე. აქვეა მონყოლილი საბავშვო ატრაქციონები, სადაც პატარები ისრიალებენ და გაერთობიან.

ბაზალეთის ტბაზე კი კვლავაც შეგიძლიათ გაისეირნოთ იალქნიანი და გასაბერი ნაგებობით, წყლის ველოსიპედებით, ითევზაოთ და მაქსიმალურად განიტვირთოთ და ისიამოვნოთ.

აქტიური დასვენების მოყვარულებს ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსში ელით ღია ჩოგბურთის კორტი, პლაჟის ფრენბურთის მოედანი, საბილიარდე და სატრენაჟორი დარბაზები, ასევე მაგივის ჰოკეი და ჩოგბურთი.

იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებს ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი ყოველწლიურად მსგავსი სიახლეები შესთავაზოს მომხმარებ-

ბელს, კომპლექსის მფლობელი კომპანიის დირექტორი, ბატონი ილია მოსიაშვილი თვითონვე მოგვიყვება:

"- რთულია ამ პირობებში მუშაობა, როგორც დღესაც საქართველოში, რადგან ტურიზმს დღეს ყველაზე მეტად გაუჭირდა. მაგრამ ჩვენ არ გვაქვს გაჩერების უფლება, რადგან რომ გავჩერდეთ, კარგს ვერაფერს ვნახავთ და ამის გარდა, ჩვენ გვაქვს იმის პოტენციალი, რომ ტურიზმი იმუშაოს, საკუთარი თავიც ვარწმუნებთ და შევექმნათ დამატებითი სამუშაო ადგილებიც.

- კი მაგრამ ქვეყანაში და მთელს მსოფლიოში ასეთი კრიზისია, ამ დროს ახალი ობიექტების დამატება თქვენთვის დამატებითი ხარჯი არ არის?

- რა თქმა უნდა არის და კომპანიაც საკმაო ფინანსურ კრიზისშია, მაგრამ ახლა ამით ვერავის გააკვირვებ. კი გვაქვს ვალეები, რომლის გადახდაში დახმარებას სახელმწიფოს ვთხოვთ, რადგან მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არის ამის პრაქტიკა, როცა სახელმწიფო ასეთ დროს მსხვილ კომპანიებს ვალეების რესტრუქტურირებაში ეხმარება. იმედია, ამას ჩვენი მთავრობა ყურად იღებს. ამიტომ ჩვენ არ უნდა გავჩერდეთ და ამ ობიექტებსაც იმიტომ ვამატებთ, რომ ჩვენი კომპლექსი უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდეს დამსვენებლისათვის.

- ეს ნამდვილად ასეა, რადგან ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი საკმაოდ მასშტაბური პროექტია

- მე ვიტყვოდი, რომ ამ ტიპის კომპლექსი საქართველოში არსად არ არის. აქ ყველაფერია იმისთვის, რომ ადამიანმა გემრიელად დაისვენოს. ტბის სამკურნალო წყალი, მთის ჰაერი, აქვე თბილისთან ახლოს, მოსახერხებელია შაბათ-კვირითაც ამოსვლა. სასტუმრო ნომრებში სრული კომფორტია, გვაქვს არაჩვეულებრივი სამაგურადი კვება (მედიკური სუფრა), მუშაობს ბარი და რესტორანი, გნებავთ დაისვენეთ და გაირუჯეთ ტბის სანაპიროზე, გნებავთ ღია აუზის პირას, გვაქვს დასვენებისა და გართობის უამრავი საშუალება, რომელიც ერთი ჩამოგითვალთ.

- ბატონო ილია, თქვენს კომპლექსში არაჩვეულებრივი საკონფერენციო ცენტრი, რომელიც როგორც ვიცით საკმაოდ დატვირთულად მუშაობს

- კი, ჩვენი საკონფერენციო დარბაზებით ყველა აქ მომსვლელი კმაყოფილია, რადგან გვაქვს 5 სხვადასხვა ზომისა და ტევადობის დარბაზი, ყველა სათანადო ტექნიკური საშუა-

ლებით. სემინარები და კონფერენციები აქ ყოველთვის წარმატებით ტარდება ხოლმე. თუმცა, ჩვეულებრივი დამსვენებელიც არასდროს ნასულა აქედან უკმაყოფილო.

- თქვენი სასტუმრო კომპლექსის მონყობისა და მომსახურების ხარისხი სტანდარტების შესაბამისი რომ არის, ეს ყველასათვის ცნობილია, რამდენად მისაღებია ამ ყველაფრის ფასები ადგილობრივი თუ უცხოელი მომხმარებლისათვის?

- გასაგებია თქვენი შეკითხვის მისამართი, მინდა გითხრათ, რომ უცხოელი და ადგილობრივი დამსვენებელიც ერთნაირად პრიორიტეტულია ჩვენთვის. ამიტომ ვცდილობთ, რომ ფასი მომსახურების შესაბამისი იყოს. ჩვენს ფასში შედის სამაგურადი კვება და გართობის და დასვენების ყველა ის საშუალებაც უფასოა, რომელიც უკვე გესაუბრეთ. იმ ყველაფრის გათვალისწინებით რაც ამაში შედის, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან მისაღები ფასიცაა. შეღავათები გვაქვს მცირეწლოვან ბავშვებზე. მოკლედ, ფასი საკმაოდ კარგია და ვინც თვითონ ნახავს რა შედის ამ ყველაფერში, აუცილებლად დამეთანხმება.

- ბატონო ილია, მინდა წარმატებები გისურვოთ და ამ კრიზისის დროს კარგად გადაეტანოთ წლებიდან წელი საკურორტო სეზონი.

- დიდი მადლობა კეთილი სურვილებისათვის და მოსახლეობას კიდევ ერთხელ მინდა მივმართო, რომ გამოიყენონ ყველა ის სიკეთე რაც ჩვენთანაა. ამისთვის მუშაობს ჩვენი გაყიდვების სამსახური, ორთაქალაში, გულისა ქუჩაზე სადაც გვაქვს მეორე სასტუმრო "ბაზალეთი პალასი", ან დაჯავშნონ ჩვენი სასტუმრო ინტერნეტის მეშვეობით. ჩვენი მომსახურებით უდავოდ კმაყოფილები დარჩებიან.

სხვათა შორის, იმის დასტური, რომ ჩვენი ორივე სასტუმრო სათანადო მოწონებას იმსახურებს, არის ის, რომ ჩვენ ვმასპინძლობთ თბილისში ძიუდოში ევროპის ჩემპიონატის მონაწილეებს. ჩვენი სასტუმროები, გნებავთ თბილისში, გნებავთ ბაზალეთზე უკვე არაერთხელ იყო და იქნება მნიშვნელოვანი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძელი."

ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსში დასვენების მსურველებმა უნდა დაარეკონ ტელეფონებზე: 75 53 66 ან 75 53 67; ან იხილონ ვებ-გვერდი www.bazaletilake.ge

გისურვებთ სასიამოვნო დასვენებას!

დავიზიდან სლობანებამდე

სლოგი თოდან

"სავარო სკოლებში მთავრი ფიგურა არის მანც მასწავლებელი... მანც კი არა, იყო, არის და იქნება!" - ეს სიტყვები ქვეყნის პრეზიდენტმა ბათუმელ პედაგოგებთან შეხვედრისას წარმოთქვა. ვის ვის და, მიხელო სააკაშვილს არ სჩვევია ქარაგმებით ლაპარაკი. ამიტომაც გვევლინა, რომ რაც მან ბრძანა, არის და იქნება სასკოლო რეფორმის სამოქმედო გეგმა სულ მცირე 2013 წლამდე. არადა, აქამდე, როცა განათლების რეფორმის წარმატებაზე გველაპარაკებოდნენ, მუდმივად ერთსა და იმავეს გვიმთხრობდნენ: სკოლაში მთავარი ფიგურა არის მოსწავლე და მხოლოდ მოსწავლე!

ცხადია, ყველა ცვლილება, რაც განათლების სფეროში ხდება, პრეზიდენტს არც ეცოდინება და არც უნდა იცოდეს. მაგრამ სკოლაში მოსწავლე მოექცევა ყურადღების ცენტრში თუ მასწავლებელი, ეს უდავოდ იმ რიგის საკითხია, რომელზედაც პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება. აქამდე გველაპარაკებდნენ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება ერთმა მეტად მნიშვნელოვანმა ფაქტორმა განაპირობა: მხოლოდ ღირსეულ მოსწავლეს მისცემოდათ სწავლის გადღეობის შესაძლებლობა და ერთხელ და სამუდამოდ აღმოგვეფხვრა კორუფცია სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში. პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული ახალი სლოგანითვის იქნებ სხვა დროს ნაკლები ყურადღება მიგვექცია, მაგრამ იმ ფონზე, როცა პარლამენტმა უყარა კენჭი ცვლილებებს ზოგადი განათლების კანონში, უყურადღებობა, შესაძლებლობა, დაუდევრობა ჩავითვალთ. კონტექსტიდან გამომდინარე, ჩვენ ერთ კონკრეტულ ცვლილებაზე ვვსურს აქცენტის დასმა - ამიერიდან სკოლებში სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი ხმის უფლებით იქნება წარმომადგენელი.

სანამ გავარკვევდით, რამ განაპირობა ამ ცვლილების აუცილებლობა, ორი სიტყვით განვმარტოთ, როგორ ხდება აქამდე სკოლებში სამეურვეო საბჭოების დაკომპლექტება. სამეურვეო საბჭო ირჩევა 3 წლის ვადით და წევრების რაოდენობა სკოლის მოსწავლეების

ოდენობაზეა დამოკიდებული. თუ სკოლაში 500 მოსწავლეზე მეტი სწავლობს, სამეურვეო საბჭოს 12 წევრისგან შედგება. იმ სკოლებში კი, რომელთა კონტინგენტი 500-ზე ნაკლებია, სამეურვეო საბჭოს მხოლოდ 6 წევრით კომპლექტდება. ორივე შემთხვევაში სამეურვეო საბჭოში ნახევარზე მეტი მასწავლებლები არიან, რომელთაც, თავის მხრივ, პედაგოგიური საბჭო ირჩევს, დანარჩენი წევრების დასახელება უკვე მშობელთა კომიტეტზეა დამოკიდებული. მათ გარდა საბჭოში წარმომადგენელია მოსწავლეთა თვითმმართველობის ერთი წევრი მე-10, მე-11 ან მე-12 კლასიდან. რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენელს, აქამდე ისინი მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობდნენ. მათ შეეძლოთ, რჩევა მიეცათ სამეურვეო საბჭოსთვის ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

მამ ასე, ერთის მხრივ გვაქვს სამეურვეო საბჭო, რომელიც სახელმწიფოსგან, ანუ სამინისტროსგან დამოუკიდებლად იღებს განაწესებულებებს, მეორე მხრივ კი მასწავლებელი, რომელიც "იყო, არის და იქნება მთავარი ფიგურა სკოლაში". თუ გასოვთ, რეფორმა სკოლაში, უპირველესად კი სამეურვეო საბჭოების შემოღება, სკოლების დეცენტრალიზაციას ისახავდა მიზნად, დეცენტრალიზაცია კი თავისთავად ისეთი სკოლის არსებობას გულისხმობს, როცა ეს უკანასკნელი მხოლოდ მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე წარმართავს თავის საქმიანობას. ასეთ სკოლაში მასწავლებელი ვერანაირად ვერ იქნება მთავარი ფიგურა. შესაბამისად, სკოლა, სადაც მთავარი ფიგურა ისევ და ისევ მასწავლებელია, დეცენტრალიზებული, ანუ სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ვერ გახდება.

რამდენიც არ უნდა ვცადოთ, რომ ეს ცვლილება მხოლოდ განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს დაუკავშიროთ, ადრე თუ გვიან ის მაინც გახდება პოლიტიკური ფაქტობის საგანი. რა გვაძლევს ამ ფაქტის გამოთქმის საფუძველს? რა თქმა უნდა, არჩევნები, რადგან არჩევნებზე, მოგეხსენებათ, ხმის მიცემა მასწავლებლებს შეუძლიათ და არა - მოსწავლეებს. გამოდის, რომ მასწავლებლებს გაულის მოება ამ ეტაპზე ხელისუფლებისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მოსწავლეზე ორიენტირებული ინსტიტუციის აშენება. ჩვენი მცდელობის მიუხედავად, აღნიშნულ ცვლილებებზე, რომლის ინიციატი

რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, თავად სამინისტრომ კომენტარის გაკეთება არ ისურვა. ისე, ესეც უცნაურია - რატომ, ჩვენს გაზეთს არ ყოფნის თუნდაც კითხვების დასმის კომპეტენცია თუ სკოლებში მიმდინარე პროცესებია იმდენად უმნიშვნელო, რომ მსჯელობად არ ღირს? და ეს მაშინ, როცა იმ დღეს, როცა პარლამენტი მეორე მოსმენით ზოგადი განათლების კანონში შესატან ცვლილებებზე მსჯელობდა, ტელევიზიით ლამის საათი ერთხელ გადმოსცემდნენ, როგორ გააუქმა საკანონმდებლო ორგანომ პროფესორ-მასწავლებლებისთვის მის მიერვე დაწესებული ასაკობრივი ცენზი!

რაც შეეხება პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს სათუნა ოჩაიურს, მან შემდეგი განვიმარტა: "გამოცდილებამ გავჩვენა, რომ სამეურვეო საბჭოები ხშირ შემთხვევაში ექცევიან დირექტორების გავლენის ქვეშ, ვერ იღებენ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს ან სულაც არ იციან კანონის ნიუანსები" და რომ სამინისტროს წარმომადგენლის შეყვანა სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში ხმის უფლებით ამაზე განაპირობა. გულუბრყვილო არაუმეტესია, მეტადერე ქალბატონი სათუნასაგან, რომელიც, ჩვეულებრივ, მაიმუზობით არ გამოირჩევა. სამეურვეო საბჭოები ხშირად მართლაც ექცევიან დირექტორების გავლენის ქვეშ, ოღონდ საკითხებია, ეს დირექტორები თუ იღებენ ყოველთვის სამინისტროსთვის მისაღებ გადაწყვეტილებას? დაფუძნებით, სამეურვეო საბჭოს წევრები მართლა ვერ ერკვიებიან კანონის ნიუანსებში და მათთვის კვალიფიციური კონსულტაციების განევა აუცილებელია, მაინც გაუგებარია, ამ კეთილშობილურ და საშურ მისათვის სამინისტროს წარმომადგენლები სათათბირო ხმის მანდატით რატომ ვერ ახერხებენ. ვერ დაიჩივებთ, რომ ყველა სკოლას შეეძინა, მაგრამ ვისაც მივმართეთ, მათ ჩვენგან შეიტყვეს, რომ პარლამენტში სამეურვეო საბჭოების დაკომპლექტებასთან დაკავშირებული ცვლილებები იხილებოდა. ესეც არ უნდა იყოს გონივრული გადაწყვეტილება, რადგან მიგვაჩნია, რომ საკომიტეტო მოსმენებამდე ამ ცვლილებებზე ვერ სკოლებში უნდა ემსჯელებათ, მაშინაც კი, თუ სკოლაში მთავარი ფიგურა მასწავლებელია.

თქმა იმისა, რომ სამეურვეო საბჭოების არჩევა ერთბაშად გამოასწაროს მდგომარეო

ბა სკოლებში, რასაკვირველია, გადაჭარბებულია. არის სკოლები, სადაც საბჭოები ფორმალურად არსებობენ და ყველაფერს ისევე დირექტორები წვევდნენ, მაგრამ პარალელურად ისეთი სკოლები მოიძებნა შეიძლება, სადაც სამეურვეო საბჭოები აქტიურად ერევიან სკოლის ცხოვრებაში. ნებისმიერ შემთხვევაში, საბჭოების არსებობა ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) გზაა, რომ სკოლამ დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს და ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდეს პოლიტიკური კონტროლისგან. დღეს კი, სამწუხაროდ, დეცენტრალიზაციის ნიშნით დაწყებული ცვლილებები სხვა მიზნების დარღვევასაც დაადანაშაულოთ, მათ შორის იმ სოფლის სკოლაშიც, სადაც უკვე რამდენიმე ათეული წელია, ონკანის წყალი თვალთ არ უნახავი. ასეთ დროს სამინისტროს წარმომადგენლის ერთი ხმა ბარემ მიეცა საბჭოს ხმის უდრის, მით უფრო მაშინ, თუ ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამინისტროს (მაგალითად, გამგებლისა და რესურსცენტრის წარმომადგენლის) ინტერესები ერთმანეთს ეთხვევა.

ვერ ვიხსენებ, რომელ კლასში ვგასწავლეს ეს დღეს, მაგრამ ამ სიტყვებს რა დამავინებებს: "მასწავლებელი, ზოგჯერ უშუალოდ, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი". უშუალოდ ბავშვებზე გადაყოლილი მასწავლებლების მაღლივი მთელი სიცოცხლე ვიქნები, რადგან ერთი ასეთი პედაგოგი ღმერთმა მეც მარგუნა. მაგრამ ეს სიტყვები ამ ჰუმანური პროფესიის წარმომადგენელი არცერთი ქართული საბჭოთა სკოლის დევიზია. ჩვენ უნდა გვცოდნოდ, რომ ვერტიკალური სკალა საგანმანათლებლო სისტემაში მასწავლებელი იხსნებოდა და კომპარტიის გენერალური მდიონი მთავრდებოდა. ამ ვერტიკალში, ბუნებრივია, მოსწავლის ადგილი საერთოდ არ იყო. ასე რომ, სლოგანი (ნაიკითხე: დევიზი) "მასწავლებელი იყო, არის და იქნება მთავარი ფიგურა სკოლაში" დღეს ისევე ხვდება ყურს, როგორც ერთი ცნობილი დევიზი (ნაიკითხე: სლოგანი) საბჭოთა წარსულიდან: "ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენ ვავიძარავებთ!" ისე კი, ჩვენში რომ დარჩეს, საბჭოთა სკოლაშიც კარგ პედაგოგად ის თვლებოდა, ვისთვისაც მთავარი მოსწავლე იყო და არა საკავშირო დონეზე დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული პროგრამა, თუმცა ამ ქუმპირიტეზას ხმახალა არავინ არ აღიარებდა.

ბანცხალება ხელახალი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ხელახალ ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის, მაკომპლექტებელი ნაწილებისა და აქსესორების შესყიდვაზე და იჭვეს ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა ყველა დაინტერესებულ პირს. შესასყიდი საქონლის ნაწინაოცად:

ლოტი	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა
№1 კომპიუტერი	I კარბანტი	170
	II კარბანტი	5
№2 ნოუტბუქი	I კარბანტი	7
	II კარბანტი	2
	III კარბანტი	1
№3 მონიტორი	• LCD Monitor- Diagonal Size 17"	165
	• LCD Monitor- Diagonal Size 19"	5
№4 პრეპროსორი	I კარბანტი	8
	II კარბანტი	1
	III კარბანტი	6
	IV კარბანტი	30
აქსესორები და ნაწილები	ფლეშ დისკი: 4GB, USB 2.0	15
	8GB, USB 2.0	10
	16GB, USB 2.0	3
	ვარე ვინჩესტერი USB 2.0, 320GB, 8MB, 5400 RPM, UK/EU	3
	USB DVD/RW External DVD+-RW 20x LightScribe USB 2.0	3
	KVM სკინი KVM Switches/ 4-PORT, PS/2, with 2 Cable Kits	1
	კლავიატურა USB Eng/Rus	10
	კლავიატურა Standart PS2	20
	მაუსი Standart, Optical PS2	40
	მაუსი USB	30
	კომპაქტ დისკი CD-R / Imation 52x 700MB 80 min	500
	კომპაქტ დისკი DVD-R Spindle / 8 mm (25 pcs)	500
	კომპაქტ დისკი DVD-RW Spindle / 8 mm (25 pcs)	200
	დინამიკები 70db, (2x5W), 40-20000 Hz	10
USB კაბელი CC-USB-AMBM-6 USB	10	
ვებ კამერა USB - 2	9	
Wireless ადაპტერი 802.11 gb 54Mbps PCI Adapter	20	
Wireless ინტერნეტ კამერა D-Link DCS-G900; (802.11g, IUTP 10/100Mbps) (ან ანალოგიური)	5	
№6	სერვერი	2

შესყიდვის ობიექტის საკვალიფიკაცია და პარამეტრები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენაზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციის შესყიდვულ ორგანიზაციაში. 2. მიწოდების სავალდებულო ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღის განმავლობაში. მიწოდების ადგილი: ქობულდის, იჭვეჭავაძის გამზ. №1. მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს (ISO სერტიფიკატი).

3. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაეცნება ტენდერში მონაწილეობის მსურველს მიერ გადახდილი სატენდერო მისაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დასადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ. განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 20 ივლისის 18:00 საათამდე შექმნის მისამართზე: ქობულდისი, ჭავჭავაძის გამზ. №3, ოსუ-ს II კორპუსი, I სართული. შესყიდვების განყოფილება.

სატენდერო მისაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: კ/ბ „რეზპუბლიკა“, ანგ.ანგ. №245634 ბანკის კოდი 220101757 საიდენტიფიკაციო კოდი 204864548. მიმღები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

5. პრეტენდენტებს საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოუდგინონ ერთი დასურული კონფერტით ორ გატყუქმდარად დღიანი და ასლი. 2009 წლის 21 ივლისის 10:00 საათიდან 14 საათამდე შექმნის მისამართზე: ქობულდისი, ჭავჭავაძის გამზ. №3, ოსუ-ს II კორპუსი, I სართული. შესყიდვების განყოფილება. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 21 ივლისის 14 საათზე აღტერნატული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 6.1. თურთიფილი პირებისათვის:
 - 6.1.1. ცნობას საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯარო საპროცედურებრივი შესყიდვით რეგისტრირებული არ არის.
 - 6.1.2. ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუქნარობის საქმის წარმოება.
 - 6.1.3. ამონაწერს სამეწარმეო რეგისტრისა.
- 6.2. ფიზიკური პირებისათვის:
 - 6.2.1. ცნობას შესახამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან მისი ქმედნარბანობის შესახებ.
 - 6.2.2. ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუქნარობის საქმის წარმოება.
- 6.3. როგორც თურთიფილი ასევე ფიზიკური პირებისათვის:
 - 6.3.1. ცნობას ბუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ (სავალდახლოდ ინსპექციიდან).
 - 6.3.2. ორგანიზაციის მოვების და ქონების გადასახადების დეკლარაციების ასლებს (ბილი საში წლის).
 - 6.3.3. ინფორმაცია პრეტენდენტის დასახელების, თურთიფილი და ფაქტური მისამართის, ტელეფონის/ფაქსის, საბანკო რეკვიზიტების, ხელმძღვანელის სახელი, გვარის შესახებ. შენიშვნა: ზემოთ აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელიც გაცემული (შედგენილი) უნდა იყოს წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში, წარმოდგენილი უნდა იქნას დედნის ან სათანადო წესით დამოწმებული ახლების სახით. საკვალიფიკაციო მითხონები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს შესყიდვის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

7. შერჩევის ეტაპზე შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება განცხადების მე-6 მუხლით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მონაცემები (ვარდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც საჭირო გასდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება). დაზუსტების ასევე არ ექვემდებარება განცხადების მე-9 მუხლით წარმოსადაგენი დოკუმენტი.

8. ტენდერში გამოხდინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული ცალკეული ლოტის მსხვედრით.

9. სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების დირექტორების 1%-ის ოდენობით. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

10. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის შექმნის (ფორმით საბანკო გარანტია), ხელშეკრულების დირექტორების 3%-ის ოდენობით.

11. დაზუსტებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სატენდერო კომისიის აპარატში, ტელ. 22 78 62, 877 59 58 39. მისამართი: ქობულდისი, ჭავჭავაძის გამზ. №3, ოსუ-ს II კორპუსი. სატენდერო კომისია

აპმადინეჭადი ოჯამას ირანის საბინაო საქმეებში მარკისისთვის აკრიტიკებს

მსოფლიო კი ირანელი გოგონას გარდაცვალების კადრებმა შეძრა

მარკა იაზვილი

მსოფლიო შენი ბოლო ამოსუნთქვის დანახვის გამო ტირის, ნედა." მათ ნედა მოკლეს, მაგრამ მისი ხმა ვერა. ნედა არის ყველას და, ყველას შვილი და ყველას ხმა თავისუფლებისთვის," - ასეთი კომენტარები შეხვდა მსოფლიო ახალგაზრდა ირანელი გოგონას ნედა სოლთანის მკვლელობის კადრებს, რომელიც Facebook-ის საშუალებით გავრცელდა.

ნედა, სტუდენტი გოგო თეირანიდან, ირანული აჯანყებისა და პროტესტის სიმბოლოდ იქცა. სნაიპერის ტყვიამ ის აქციის დროს იმსხვერპლა, რომელსაც მამასთან ერთად ესწრებოდა. გარშემო შეკრებილი ადამიანები ამაოდ ცდილობდნენ, გოგონა გადაერჩინათ. ნედა ადგილზე გარდაიცვალა.

მთელ მსოფლიოში მიიჩნევენ, რომ სტუდენტი გოგოს მკვლელობა ირანის ხელისუფლების მთავარი დანაშაულია.

ნედა სოლთანის მკვლელობის ფაქტმა პროტესტის კიდევ უფრო გამწვავება გამოიწვია. ოპოზიციის მომხრეებმა მისი ხსოვნის პატივსაცემად საგანგებო მსვლელობა მოაწყვეს და გარდაცვლილი ახლავაზრდა ქალი ქვეყნის დემოკრატიისკენ სწრაფვის სიმბოლოდ აქციეს.

ნედას გარდაცვალების კადრების ამსახველი პოსტერები დემონსტრანტებს ახლა უკვე არა მხოლოდ ირანში, არამედ ლოს ანჯელესსა და ნიუ იორკშიც უჭირავთ ხელში.

ნედა სოლთანის სიკვდილის კადრები Facebook-ზე (სადაც მას ირანის ანგელოზს" უწოდებენ) პოლანდიაში მცხოვრებმა ირანელმა განათავსა. მისი განცხადებით, კადრები მას თავისმა მეგობარმა გაუგზავნა, ექიმმა, რომელიც დაჭრილი ნედას გადაარჩენს ცდილობდა.

თუმცა ირანის პრეზიდენტს, რომელიც შეშფოთებული უნდა იყოს ახლავაზრდა ადამიანის გამიზნულად მკვლელობით, ახლა ინტერნეტით გავრცელებული ვიდეომასალისთვის არ სცალია.

მაშინვე აპმადინეჯადი კიდევ ერთხელ აკრიტიკებს აპმს პრეზიდენტ ბარაკ ობამას და მას არჩევნების შემდეგ ირანის ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკაში ჩარევებში ადანაშაულებს, რაც, აპმადინეჯადის განცხადებით,

ბით, შესაძლოა ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობების აღდგენაზე ცუდად აისახოს.

გაუგებარია, რაზე ფიქრობს ობამა. რატომ ერევა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში არცთუ ზრდილობიანი და წინააღმდეგობრივი გზით?" - განაცხადა აპმადინეჯადმა ირანის სახელმწიფო ტელევიზიის ეთერით გამოსვლისას. მისი თქმით, ბოლო კვირებში განვითარებული მოვლენების შემდეგ ეჭვგარეშეა, რომ ამერიკას ირანს შორის დიპლომატიურ ურთიერთობას და მოლაპარაკებებს ცვლილება შეეხება.

თუმცა ირანში მიმდინარე მოვლენების გამო ობამა არა მხოლოდ აპმადინეჯადის, არამედ თანამემამულეებისა და სხვა დასავლური ქვეყნების კრიტიკის ობიექტიც გახდა, თუმცა სხვა მიზეზით. მათ ამერიკის პრეზიდენტი ირანში არჩევნების ფალსიფიკაციისა და დემონსტრანტთა წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის მიმართ გულგრილობისა და ზედმეტი თავშეკავებულობის გამოვლენაში დაადანაშაულეს.

ობამას ოპონენტები მიიჩნევენ, რომ 13-დან 19-მდე ადამიანის გარდაცვალება, 100 ადამიანის დაჭრა და 450-ზე მეტი დემონსტრანტის დაპატიმრება ამერიკის ლიდერის მხრიდან უფრო მწვავე კომენტარს იმსახურებდა.

ობამასგან განსხვავებით, ირანში მიმდინარე მოვლენებს მკაცრად აკრიტიკებს ორგანიზაცია ჰუმან რაითს უოთჩი. ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია ირანულ სამხედრო სამთავრობო დაჯგუფება ბასიჯის სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმაში სდებს ბრალს.

საგანგებო განცხადებაში, რომელიც ორგანიზაციამ ამ საკითხზე გამოაქვეყნა, ნათქვამია, რომ თავდასხმების დიდი ნაწილი ღამით ხდებოდა და მათ სერიოზული ზიანი მიაყენეს მშვიდობიანი მოსახლეობის სახლებს.

ჰუმან რაითს უოთჩი მიიჩნევს, რომ ბასიჯის ამგვარი ქმედებები და ზოგადად საქმიანობა ბოლო ორი კვირის განმავლობაში ოპოზიციის მხარდამჭერთა გამოვლენის აღკვეთისკენ იყო მიმართული.

მას შემდეგ, რაც პოლიციამ ქუჩებში საპროტესტო აქციების ინტენსიური



AFP - 2009

დარბევა დაიწყო და ხელისუფლებამ თეირანსა და სხვა ქალაქებში მანიფესტაციების ჩატარება ოფიციალურად აკრძალა, ირანულმა ოპოზიციამ პროტესტის გამოხატვის ახალ გზებს მიმართა - ღამით ისინი სახლების სახურავებზე ძვრებიან და ანტისამთავრობო ლოზუნგებს სკანდირებენ. პროტესტის გამოხატვის ასეთი ფორმა ირანელებისთვის უცხო არ არის - აზრის დასაფიქრებლად სწორედ ამ მეტოდს იყენებდნენ 1979 წლის ისლამისტური რევოლუციის მონაწილეებიც.

ადამიანის უფლებათა დამცველები იმასაც ამტკიცებენ, რომ რიგ შემთხვევებში ხელისუფლებამ მოსახლეობას სატელიტური ანტენებიც კი ჩამოართვა, რომელთა მეშვეობითაც ისინი უცხოურ არხებს უყურებდნენ.

მაშინ, როდესაც ოპოზიციის მხარდამჭერთა უკმაყოფილება არ ცხრება, ხოლო არჩევნებში ოფიციალური ვერსიით გამარჯვებული კანდიდატი - მეორე

ვადით გაპრეზიდენტებული აპმადინეჯადი სატელევიზიო ეთერით ამერიკასა და ევროპას ირანის საშინაო პოლიტიკაში ჩარევებში ადანაშაულებს, ირანული მასმედია ავრცელებს ინფორმაციას, რომ ხელისუფლება უშუალოდ ოპოზიციური პოლიტიკური ძალების წინააღმდეგ იწყებს მოქმედებას.

ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, აპმადინეჯადის მთავარ კონკურენტ მირ ჰოსეინ მუსაუის მრჩეველს ხელისუფლებამ ქვეყნის დატოვება აუკრძალა.

აბოლფაზლ ფატიხი, რომელიც მუსავის შტაბში საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილებაში მუშაობდა, დიდ ბრიტანეთში გამგზავრებას გეგმავდა, სადაც დისერტაციის დოქტრინაზე უნდა ემუშავა, თუმცა, მისივე განცხადებით, ქვეყნის დატოვების საშუალებას არ აძლევენ.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური მე-

უკრაინის კონსტიტუცია კვლავ პოლიტიკური ინტერესების მძევალია

ივა შილაკაძე

უკრაინის კონსტიტუციის დღე - 28 ივნისი - კიდევ ერთი საბატი აღმოჩნდა თითქმის ყველა იმ პოლიტიკური ლიდერისთვის, რომლებიც მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებენ მონაწილეობას, რათა ხალხისთვის ჯერ კიდევ მიმდინარე საკონსტიტუციო პროექტების ომი გაეხსენებინათ და თითოეულ მათგანს საზოგადოება საკუთარი პოზიციის სისწორეში დაერწმუნებინათ.

ყველაზე ლაკონური და ნეიტრალური აღმოჩნდა პრემიერი ოლია ტიმოშენკო. მის მიმართებაში ნათქვამია, რომ "უკრაინამ ყოველთვის იცოდა ზეიმი და უყვარდა ზეიმი, ისევე როგორც შრომა. უკრაინას საუკუნეების განმავლობაში აკლდა წმინდა სახელმწიფოებრივი დღესასწაულები, რომლებიც უკრაინის ნამდვილი ნებისა და და-

მოუკიდებლობის გამოხატულებაა. კონსტიტუციის დღე სწორედ ასეთი დღესასწაულია".

"ცხადია, ის სრულყოფილი არ არის, საჭიროა მასში შესწორებებისა და დამატებების შეტანა. მას ხშირად აკრიტიკებენ, უკმაყოფილონი არიან კონსტიტუციით, მაგრამ ეს ნორმალური პროცესია..." იულოა ტიმოშენკოს არ დაუზუსტებია, თუ როგორი შესწორებების შეტანა სურს კონსტიტუციიდან, რადგან ცოტა ხნის წინათ ჩაიშალა მისი ბლოკისა და იანუკოვიჩის რეგიონების პარტიის ერთობლივი პროექტი ქვეყნის საპარლამენტო რესპუბლიკად გადაკეთების შესახებ. ამ პროექტს აქტიურად აკრიტიკებენ დანარჩენი ძალები.

უფრო ვრცელი იყო პრეზიდენტი იუშჩენკო. მანაც ამ ორივე თვის წინ უკრაინის უმაღლეს რადას სცამოდა კონსპირაციული პრობლემა და, ეტყობა, ცოტა ნაჩქარევადაც მომზადებული პროექტი გადასცა, რო-

მელშიც იურისტებმა ასევე ბევრი შეუსაბამოა და შეცდომა აღმოაჩინეს. ვიქტორ იუშჩენკო მიიჩნევს, რომ კონსტიტუცია კონკრეტულ პოლიტიკურ ძალებზე არ რომელიმე არჩევნებზე არ უნდა იყოს მორგებული. ის ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. მან ხალხის და თავის გამარჯვებად შეაფასა ცოტა ხნის წინ ტიმოშენკო-იანუკოვიჩის პროექტის ჩაყარა, რომლის თანახმადაც, მოქალაქეებისთვის უნდა მოეპარათ ძალაუფლება. იქვე ხალხს კიდევ ერთხელ შეახსენა საკუთარი პროექტი და ისიც დაუშვა, რომ მისი აზრით, კონსტიტუციის მიღება არჩევნებამდე უნდა მოხდეს (!). ამით იგი გარკვეულწილად დაუპირისპირდა თავისი მიმართვის პირველ ნაწილს.

ყველაზე ვრცლად და დასაბუთებულად, საგაზეთო სტატიის სახით, თან მეტყველებდა განზე მდგომი ადამიანის პოზიციიდან შეფასა კონსტიტუციასთან დაკავშირებული პერიპეტები პრეზიდენტობის კიდევ ერთმა კანდიდატმა არსენ იაცენიუკმა. იგი კვლავი იურისტიკა, რაც მნიშვნელოვან უპირატესობას აძლევს ამ თემაზე პოლიტიკურ-თეორიულ ქრონიკის მსჯელობისას. იაცენიუკმა ჯერ საფუძვლიანად და არგუმენტირებულად გააკრიტიკა კონკრეტული პოლიტიკური ძალების გამარჯვებაზე ორიენტირებული საკონსტიტუციო პროექტები. მისი მსჯელობის ობიექტი ძირითადად მაინც ტიმოშენკო-იანუკოვიჩის ვარიანტი გახდა, რომლის პრინციპებიდან, ფიგურალურად რომ ვთქვათ, "ქვა ქვაზე არ დაუტოვებია" და შემდეგ საკუთარი მოსაზრებაც ჩამოაყალიბა. იაცენიუკს მიაჩნია, რომ ქვეყანაში აუცილებლად უნდა შემუშავდეს მყარი მექანიზმები, რათა ვერაფერი შეძლოს კონსტიტუციაში შესწორებების ადვილად შეტანა, მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკური კონიუნქტურის გამოყენებით და საპარლამენტო ინსტრუმენტთა უმაღლეს რადაში. მისი აზრით, ამის მთავარ გარანტი-

რად იმუშავებდა, ხოლო 23 ივნისს კი ბარქათამ განაცხადა, რომ სადღესასწაული დღეებსა და შაბათობით, "საფრას" ნაცვლად, იმუშავებდა ავტოსადგომი "რუკა", რომელიც ძველი ქალაქის ახლოს არის განთავსებული და დაახლოებით 800 ავტომანქანაზეა გათვალისწინებული. ასეთი გადაწყვეტილება მერიამ ტურისტებისთვის ავტომანქანის გაჩერების პრობლემის მოსაგვარებლად მიიღო. თუმცა, არც ამ გადაწყვეტილებას ალფრთოვანება ულტრარაოდოქსული საზოგადოება და მისმა წევრებმა მეა-შეარიმის მცხოვრებლებს საპროტესტო აქციებზე გამოსვლისკენ მოუწოდეს.

იურუსალიმის მერიამი აბსურდულს უწოდებენ ულტრარაოდოქსული საზოგადოების პრეტენზიებს იმის შესახებ, რომ ავტოსადგომის შაბათობით მუშაობა ამ დღის სინონიმად არღვევს. როგორც

და, პრესის მუშაობაზე დაწესებული შეზღუდვების გამო, ინფორმაციის გადამოწმებას ვერ ახერხებს, ფაქტების განცხადება ეჭვს არ ბადებს, რადგან ბრიტანეთის დიპლომატიის დამოკიდებულება ირანში ბოლო დროს ძალიან გამწვავებულია.

საპროტესტო აქციების დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ, ოფიციალურმა თეირანმა ყველა დასავლურ საინფორმაციო საშუალების წარმომადგენლებს ოფისების დატოვება აუკრძალა, ხოლო ბრიტანელ ჟურნალისტებს ქვეყნიდან წასვლა მოსთხოვა, თუმცა მათი ადგილობრივი ოფისები არ დაუხურავს. ამის მიზეზად ანალიტიკოსები იმას მიიჩნევენ, რომ ირანის ხელისუფლება საპროტესტო აქციების მოწყობაში სწორედ ბრიტანულ სპეცსამსახურებს ადანაშაულებს.

თეირანში, შაბათს, ამ ბრალდებით დიდი ბრიტანეთის საელჩოს რვა ირანელი თანამშრომელი დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი ქუჩებში არეულობის მოწყობის ორგანიზებაში არიან ეჭვმიტანილი.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს საელჩოს თანამშრომლების დაკავების შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით ოფიციალურად არ დაუდასტურებია. ბოლო დროს ჩვენ არაერთხელ მივიღეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ირანში ჩვენი მოქალაქეები დააკავეს," - განაცხადა ბრიტანეთის საგარეო უწყების წარმომადგენელმა.

მისი თქმით, ამ საკითხის გადაწყვეტა ირანის ხელისუფლებასთან თანამშრომლობით მოხდება.

ამ დროს კი ოფიციალური თეირანი დასავლეთისა და დიდი ბრიტანეთის დადანაშაულებას განაგრძობს.

გავრცელებული ინფორმაცია, რომ ირანის ეროვნულმა სადაზვერვო სამსახურმა უშუალოდ 12 ივნისის, საპრეზიდენტო არჩევნების დღეს, რამდენიმე დაგეგმილი ტერაქტის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მათი ჩაშლა შეძლო. სადაზვერვო სამსახურის მოხსენებაში ნათქვამია, რომ 12 ივნისს რამდენიმე ტერორისტული დაჯგუფების გამოვლენა და განიარაღება მოხერხდა.

იარუსალიმში ულტრარაოდოქსები პოლიციას დაუპირისპირდნენ

ხათუნა გახივი

შაბათს, იერუსალიმის ცენტრში შეტაკება მოხდა პოლიციის თანამშრომლებსა და ულტრარაოდოქსული საზოგადოების წევრებს შორის, რომლებიც შაბათობით ავტოსადგომ "რუკას" მუშაობას აპროტესტებდნენ. სხვადასხვა ცნობით, საპროტესტო აქციაში რამდენიმე ასეულიდან რამდენიმე ათას კაცამდე მონაწილეობდა. "ნიუსრუ.კო.ილ"-ის თანახმად, დემონსტრანტთა ზუსტი ციფრის განსაზღვრა შეუძლებელი იყო, რადგან აქციის მონაწილეებმა მეა-შეარიმის კვარტალში, ბარ-ილანის ქუჩაზე, შივთეი-ისრაელის ქუჩასა და სხვა ადგილებში ჩაიარეს. საპროტესტო აქციაში არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალები-

ცა და ბავშვებიც მონაწილეობდნენ. თანაც ბევრი ქუჩაში, უბრალოდ, სეირის საცქერლად იყო გამოსული.

სამოქალაქო და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა საზოგადოებრივი უნესრიგობისა და შეტაკებების თავიდან აცილება სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. მათ მცდელობას დემონსტრანტთა გაღიზიანება მოჰყვა, რომლებმაც სამართადამცველებს ქეები და სხვადასხვა საგნები დაუშინეს.

რადიოსადგურ "კოლ ისრაელის" ინფორმაციით, შეტაკებების დროს 6 პოლიციელი დაზავდა, ერთს ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა. გარდა ამისა, მძიმედ არის დაზარებული ერთ-ერთი დემონსტრანტი, დაახლოებით, 20 წლის ახალგაზრდა, რომელიც ლობიდან გადმოვარდა და თავის ტრავმა მიიღო. რამდენიმე დემონსტრანტს სხეულის მსუბუქი დაზიანება აღენიშნება. დაზარებულთა შორის ექვსი წლის ბავშვიც არის. იერუსალიმის პოლიციის ინფორმაციის თანახმად, დაკავებული დემონსტრაციის 57 მონაწილე. ათობით მოქალაქის დაკავებას ადასტურებენ რელიგიურ საზოგადოებამც. საზოგადოების წარმომადგენელთა თქმით, შაბათის შეტაკების დროს არანაკლებ 40 პირი დააკავეს.

ცნობისთვის, იერუსალიმში ორთოდოქსული საზოგადოების მღვდლარება 6 ივნისს, მას შემდეგ დაიწყო, რაც დედაქალაქის მერმა ნირა ბარქათამ მუნიციპალიტეტის გვერდით მდებარე საფრანკო-ედანზე ავტოსადგომის შაბათობით მუშაობის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. პირველი საპროტესტო აქციების შემდეგ მერმა თითქმის ტაიმაუტი აიღო და გამოაცხადა, რომ მომდევნო ორი კვირის მანძილზე შაბათობით ავტოსადგომი "საფ-

ჩანს, საპროტესტო აქციები ამით არ დამთავრდება, რადგან იერუსალიმში შაბათობით ავტოსადგომების მუშაობის გამო კონფლიქტი დღითიდღე უფრო მწვავედება.

ავტოსადგომ "რუკას" შაბათობით მუშაობით აღშფოთებულთა დემონსტრაციის პარალელურად, იერუსალიმში საერო მოსახლეობამაც გამართა აქცია. ისინი ადგილობრივი ხელისუფლებისგან ითხოვდნენ სათანადო გადაწყვეტილების მიღებას ისრაელის დედაქალაქში ნორმალური საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად მათთვისაც, ვინც დიდდარ არ არის რელიგიური. აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ ულტრარაოდოქსული საზოგადოების მოთხოვნებს, რომლებიც ცდილობენ, თავიანთი თამაშის წესები იერუსალიმის ყველა მცხოვრებს მოახვიონ თავს.

"გამოტანარი" უნატანარი

გახსნადი!



თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

თანხის გატანა ბანკ „რესპუბლიკის“ ფილიალებიდან - უფასო



ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსნიკოვა ჯანაჩიანი

ტელ.: (822) 90 90 (90)
მობილურიდან: *90 90
www.republic.ge

რევოლუ



რომის იმპერიის პერიოდის პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური და კულტურული ცენტრის, რომის ფორუმის ისტორიულ ტერიტორიაზე კოსტა რიკელი მოქანდაკე ხიმენეს დერედის გამოფენა La Rota de la paz გაიხსნა. წარმოდგენილი ნამუშევრები ფორუმის თითქმის მთელ ტერიტორიაზე გაბნეული და დამთვალეიერებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს. როგორც რომის ფორუმის კომპლექსის დირექცია აცხადებს, მსგავსი გამოფენები ისტორიულ ადგილებში ტურისტების მოსაზიდად საუკეთესო საშუალებაა.

ფრანკფურტში თბილისის ბავლით


თბილისის XXI წიგნის ფესტივალის დასრულდა

ნა ვაკაძა

თბილისის მეთერთმეტე წიგნის საერთაშორისო ფესტივალის უკვე ისტორიაა, ისევე როგორც ამ ოთხი დღის განმავლობაში გამართული პრეზენტაციები და სხვადასხვა ღონისძიებები. დროში მხოლოდ ის დარჩა, რისთვისაც ეს ყველაფერი გაიმართა - წიგნები, მათი შიგთავსი და ცხადია ავტორებიც, რომელთაგან ზოგს განსაკუთრებით გაუმართლა, უმეტესობა კი ბოლომდე წიგნის სატიტულო ყდაზე მიწერილ სახელად დარჩა.

ივნისი ლიტერატურულად განსაკუთრებით დატვირთული აღმოჩნდა. თვის დასაწყისში პორტალ lib.ge-ს პროზაულ-პოეტური კონკურსის გამარჯვებულები დააჯილდოვეს. რამდენიმე დღეში პრემია საბას ნომინანტების ვინაობა გახდა ცნობილი (დაჯილდოვების ცერემონიალი 1 ივლისს გაიმართება), 25-28 ივნისი როგორც მოგვსენებათ წიგნის ფესტივალს დაეთმო, ხოლო თვეს ბესო ხვედელიძის რიგით მე-

თე წიგნის, მოთხრობების კრებულ თავის გემოს პრეზენტაცია დახურავს. ხვედელიძის წიგნის შესახებ ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი ფესტივალის ოთხ ცხელ დღეს გადავხედოთ. ცხელს იმიტომ, რომ ძალიან ცხელოდა, თუმცა თავად ფესტივალზე ტემპერატურა ჯიუტად ინარჩუნებდა სტაბილურობას - მიმდინარეობდა ისე, როგორც ყოველთვის: პრეზენტაციებით, ფასდაკლებებითა და ტრადიციულად მეჩხერი მყიდველით. როგორც ფესტივალის ძველი მონაწილეები იხსენებენ, როდესაც იგი ფილარმონიის ფოიეში იმართებოდა, მაშინ გაცილებით მეტი მყიდველი ჰყავდათ. ამის მიზეზი მარტივია - ფილარმონია ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ უბანშია, დიდუბეში მდებარე ექსპო ჯორჯიამდე მისასვლელად თავის შენუხების მსურველი კი არც თუ ბევრია. სიხალვათე შეიმჩნეოდა გამომცემლობების რაოდენობის მხრივაც. რამდენიმე გამომცემლობამ ფესტივალზე მონაწილეობაზე უარი ფინანსური პრობლემის, უფრო კი საგამოფენო სტენდის დასაქირავებ-



ლად გადასახდელი დიდი თანხის გამო თქვა. არ შეიმჩნეოდა უცხოური გამომცემლობებიც. არადა შარშან ფესტივალის შავი ზღვის წიგნის სა-

ერთაშორისო ფესტივალის სახელს ატარებდა და აზერბაიჯანელ, უკრაინელ, ბულგარულ და სომეხ გამომცემლებსაც მასპინძლობდა. უკრაინ-

ნა ძირითადად შემეცნებითი ლიტერატურითა და პრესით იყო წარმოდგენილი, ასევე მათ სტენდზე უკრაინულ ენაზე გამოცემული ვეფხისტყაოსანი და დავით გურამიშვილის ნაწარმოებებიც შეიმჩნეოდა. ბულგარეთმა თანამედროვე და რელიგიური ლიტერატურა გაგვაცნო, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა კი საკუთარი ქვეყნების კულტურის, ისტორიისა და თანამედროვეობის შესახებ მომზადებული გამოცემები. თუმცა ეს ყველაფერი შარშან იყო... წლებმდე წიგნის ფესტივალის მთავარი ინტრიგა კი ტრადიციულად ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის 15 საუკეთესო მოთხრობაში შესული საუკეთესო სამეულის დაჯილდოვება იყო. ლელა ცისკარიშვილის მიერ შედგენილი კრებული თითქმის ერთი თვის წინ გამოვიდა და წიგნის მალაზიების დახლებზეც გამოჩნდა, ფესტივალმა კი დაჯილდოვების ცერემონიალს უმასპინძლა.

გაზრდილობა A10 გვერდზე



ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.



უძველესი ორდენი - სამკლაური ბიჭვინთის სამაროვნისა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის უნიკალური კოლექციებიდან თქვენს ყურადღებას ბიჭვინთის სამკლაურზე შეგაჩერებთ.

ბიჭვინთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები 1953-1991 წლებში წარმოებდა. ექსპედიციას 1953-1975 წწ. აკადემიკოსი ანდრია ავაქიძე ხელმძღვანელობდა, ხოლო შემდეგში პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე.

გათხრების პროცესში გამოვლენილი იქნა რომაული ციხე-ქალაქი და თანადროული ახ.წ. II-IV სს. დათარიღებული სამაროვანი, რომლის ფართობი 3.5 ჰექტარს აღწევს. ის უკავშირდება რომაელ ლეგიონერებს, ჯარისკაცებს, მათი ოჯახის წევრებს, ბავშვებსა და ქალებს.

სამარხი, რაზეც ყურადღებას შეგაჩერებთ სამაროვნის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდა. სამარხი მამაკაცისაა. ზედა კიდურის იდაყვის ქვემო ნაწილი არ დაფიქსირდა (სავარაუდოა, რომ მარჯვენა ხელი ლეგიონერს ბრძოლაში ჰქონდა დაკარგული).

სპეციალისტების დიდი ყურადღება ე.წ. სამკლაურმა მიიპყრო, რომელიც მიცვალებულის მარჯვენა ზედა კიდურის მკლავის ძვლის შუა ნაწილში აღმოჩნდა.

მაღალი სინჯის ვერცხლისაგან ჩამოსხმული, მასიური, რკალმკერული, სამაჯური სავარაუდოდ სპეციალური დაკვეთით წინასწარ აღებული ზომების მიხედვით არის ჩამოსხმული. სამკლაურის რკალი მრავალნახნაგოვანია, რომელიც ცენტრალურ ნაწილში ფართოვდება და ჰქმნის მრგვალ სიბრტყეს, რაზეც ვერცხლის მედალიონი - ფალარი მიურჩილავთ.

მედალიონზე გამოსახულია მთელი ტანით ფეხზე მდგომი ბერძნულ-რომაული სიუხვის, ნაყოფიერების, ბედ-იღბლის ღვთაება ციხე-ფორტუნა. მარჯვენა ხელით ის ბედის საჭეს ეყრდნობა, ხოლო მარცხენაში სიუხვის ყანნი უჭირავს. ბედ-იღბლის გამგებელი არც კოლხეთისათვის ყოფილა უცხო, რადგან მის გამოსახულებას ძვ.წ. I საუკუნის შუახანის კოლხეთის მმართველის, არისტარქე კოლხელის ვერცხლის მონეტებზე ვხვდებით.

სამკლაური რომაელი ლეგიონერის სამხედრო ნარჩინების სპეციალური ოფიციალური ნიშანია, ჯილდო პირადი მამაცობისათვის... მას ატარებდნენ გამოსაჩენ ადგილას - შიშველ მკლაზე. სავარაუდოა, რომ ახ.წ. III ს. დათარიღებულ სამარხში დაკრძალული იყო სიმამაცით გამორჩეული მეომარი.

საქართველოს შავიზღვისპირეთში მსგავსი ნივთი ჯერ არ აღმოჩენილა.

ნინო კილურაძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ფრანკფურტში თბილისის ბავშვები

მაცხრა გვარდიანა

შეგახსენებთ კრებულში შესული ავტორების ნაწარმოებებს: ნიკუშა ანთაძის მე შიშველი ვარ, მიშა ბახსოლიანის A Perfect Day Elise, ზაზა ბურჭულაძის შვიდი ბრძენი, ლაშა ბულაძის აქ იყო თემური მამუკელაშვილი, ხათუნა თავდგირიძის დონ მანუელი და ოქროს თევზი, ნინო თარხნიშვილის ჩემი პატარა პეკინელი საყვარელი ანუ ჩემი ცოლის ჩინური თმა, თეა თოფურიას მორჩეს კინო!, ზურაბ ლეჟავას თქვენი ბაბოც გავათხოვე, გურამ მეგრელიშვილის Hello, ამერიკა!, გურამ ნავროზაშვილის Red Alert, ვასილ სახვადის პასტის ანუ კალმის მანიაკი, დათო ქარდავას ვინ არის ვარსკენი, არჩილ ქიქოძის ლოთები, ნუგზარ შატაიძის გიორგობისთვე და ბესო ხვედელიძის სიზმრების ახსნა. მესამე ადგილი ხათუნა თავდგირიძის დონ მანუელი და ოქროს თევზს ერგო. როდესაც ამ მოთხრობის წერას მოვრჩი, დიდხანს ვფიქრობდი, მე რომელი პერსონაჟი ვიყავი. ბოლოს მივხვდი, რომ ოქროს თევზი ვარ, რომელიც ადამიანების სურვილების ასასრულებლად გაჩენილი. გისურვებთ იმაზე მეტი სურვილი აგისრულდეთ, ვიდრე ოცნებობთ, - განაცხადა ავტორმა. აქვე შეგახსენებთ, რომ ხათუნა თავდგირიძე წლის დებიუტანტის ნომინაციაში წლევანდელი საბას ნომინანტი.

შარშან ამავე კრებულის საუკეთესო სამეულის მესამე პოზიცია ზაზა ბურჭულაძეს ერგო, რომელმაც წელს ერთი საფეხურით წაინია წინ, რამაც მომავალ წელს პირველი ადგილის დაკავების თეორიული შანსი გაუჩინა. ზაზა ბურჭულაძემ თავისი მეორე ადგილი მაიკლ ჯექსონის ხსოვნას მიუძღვნა: ამ გამარჯვების სიხარულს ჯექსონის უეცარი გარდაცვალება აქარწყლებს, - თქვა ბურჭულაძემ და პოპის მეფეს ტელეპატიურად დაუკავშირა. მისგან გაცილებით მოკრძალებული, ჩუმი და უფრო მეტად გამარჯვებული იყო ზურაბ ლეჟავა მოთხრობით თქვენი ბაბოც გავათხოვე -



პირველი ადგილი და 1000 ლარიანი პრემია სწორედ მისთვის იყო განკუთვნილი. წერილწერილი პრიზები მიიღეს სხვა ნომინანტებმაც: ბესო ხვედელიძე literatura.ge-ს რჩეული გახდა - მან ინტერნეტგამოკითხვაში ყველაზე მეტი ხმა დააგროვა. გურამ მეგრელიშვილმა, როგორც ჯეო-მკითხველის გამარჯვებულმა ჯეოსელის ახალი ნომერი მიიღო, ხოლო ისი პარიმ ლაშა ბულაძე დააჯილდოვა.

საინტერესო საბავშვო აქცია ჰქონდა ჟურნალ ნიგნი და სამყაროსა და გამოცემლობა ელფს, რომლებმაც ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული ბავშვები დააჯილდოვეს. კონკურსი მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა, თავდაპირველად გამოვლინდა 30 ფინალისტი. საფინალო კონკურსი სკოლა ლიცეუმ აია გესს-ში ჩატარდა.

შემდეგ კი საუკეთესო სამეულის შუამდგომლობით მათგან ერთი პრიზი კომპიუტერი გახლდათ.

სოკო, ლოკოკინა, ჭიქა და მუხლუხო გაგაკეთე, - მითხრა 4 წლის დათიმ, როდესაც მისი პლასტილინის ნაკეთობებით დავინტერესდი. დათი, ისევე როგორც უამრავი სხვა ბავშვი, დიოგენეს აქციის მონაწილე იყო, რომელიც ქეთევან და მანანა აბრამიშვილების მიერ შედგენილი პლასტილინის ილუსტრაციებიანი მოთხრობების, ლექსების, თავსატეხებისა და გამოცანების კრებულ მოდით, მოდით, ბავშვებს პრეზენტაციის პარალელურად გაიმართა. ფესტივალის განმავლობაში დიოგენე კიდე ერთ აქციას ატარებდა: გამომცემლობის ნიგნებში გადახდილ ყოველ 10 ლარზე მყიდველი ლატარიის თითო ბილეთს იღებდა, კვირას კი სამი ილბლი-

ნი გამოვლინდა: ლატარიის ორმა მონაწილემ დიოგენეს მიერ წლის განმავლობაში გამოცემული ყველა ახალი ნიგნის უფასოდ მიღების უფლება მოიგო, ხოლო მთავარი გამარჯვებული ანა საჯაია შემოდგომაზე ფრანკფურტის ნიგნის ფესტივალზე გაემგზავრება.

P.S. რაც შეეხება ბესო ხვედელიძის კრებულს, თავისი გემოს პრეზენტაციას, იგი 29 ივნისს თარხნიშვილის ქუჩაზე მდებარე კლუბ ეთნოშია დაგეგმილი. პრეზენტაცია არა მხოლოდ ლიტერატურულად, არამედ მუსიკალურადაც მეტად დატვირთული იქნება. სტუმრები მისალმონი სიტყვების ნაცვლად რობი კუხიანის, ჟორასა და ზუმბას მუსიკას მოისმენენ, ბესოს ნიგნს იხილენ და ბესოს მამის დანურულ ლვინოს იგემებენ...

დიტრიხის წერილები ფასდაკლებით გაიყიდა

კოლექცია, სადაც ლეგენდარული მსახიობის და მომღერლის მარლენ დიტრიხის დაახლოებით 130 წერილია თავმოყრილი, ბერლინის აუქციონზე მხოლოდ მას შემდეგ გაიყიდა, რაც არსებული თანხა მკვეთრად შემცირდა. როდესაც წერილების სანყისი ფასი ოთხი ათასი ევროდან სამი ათას ევრომდე ჩამოვიდა, უცნობი მყიდველი, ტელეფონით საუბრისას დათანხმდა კოლექცია შეესყიდა. აღნიშნულ ინფორმაციას გერმანული სააგენტო DDP ავრცელებს.

კოლექციაში წარმოდგენილი იყო პირადი წერილები, რომელიც 1960 წლიდან მსახიობის სიკვდილამდე - 1992 წლამდე პერიოდში იყო შექმნილი. მათი დიდი ნაწილი მხატვარ-მეგობრულ მას გოლიშტიანის მისამართით იყო დაწერილი. წერილების გარკვეული ნაწილი საკმაოდ გრძელ შეტყობინებებს წარმოადგენდა, ხოლო ზოგიერთი მათგანი მოკლე სადღესასწაულო მი-

ლოცვებს. როგორც სააგენტოს კომპანია J. A. Stargardt-ის წარმომადგენელმა კარინ მატენმა (Karin Matten) შეატყობინა, რომელიც ავტორაფების გაყიდვებზე სპეციალიზირებული, დიტრიხი გოლიშტიანზე იყო შეყვარებული, ამიტომ გაყიდული წერილები ძალიან პირადულ ხასიათს ატარებდნენ. მანვე აღნიშნა, რომ დიტრიხმა საკუთარი სურვილების დაკმაყოფილება და მიზნის მიღწევა ვერ შეძლო, რადგან დიზაინერი ჰომოსექსუალი იყო.

მარია მაგალენა ფონ ლოში, იგივე მარლენ დიტრიხი, ბერლინში 1901 წელს დაიბადა. მსოფლიო აღიარება მას საბერლინის ქალის როლმა მოუტანა, ჯოზეფ ფონ შტენბერგის ფილმში - ცისფერი ანგელოზი. 1930 წელს, ვერმანის ხელი-სუფლებს სათავეში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ, დიტრიხი ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მან შეძლო ამერი-

კული კინოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობი გამხდარიყო. იგი XX საუკუნის ყველაზე ლეგენდარული კინოვარსკვლავი და ჯერ კიდევ 30-იანი წლების ჰოლივუდის პირველი ექს-სიმბოლო იყო.

1953 წელს მარლენ დიტრიხმა ლას-ვეგასში მომღერლის წარმატებული კარიერა დაიწყო. 1963 წელს დიდი წარმატებით ჩაიარა მისმა საგასტროლო ტურნემ მოსკოვსა და ლენინგრადში. 1975 წელს გადატანილი ტრავმის შემდეგ მისი კარიერა დასრულდა. თავისი სიცოცხლის უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში იგი ლოგინად იყო ჩავარდნილი და გარე სამყაროსთან მხოლოდ ტელეფონით ახერხებდა კონტაქტს. მარლენ დიტრიხი 1992 წლის 6 მაისს პარიზში გარდაიცვალა. 2001 წელს მისი 100 წლის იუბილე აღინიშნა, სადაც მისმა ყოფილმა მეგობარმა და უკანასკნელი სიცოცხლის წლებში მისმა დამხმარემ 76

წლის ამერიკელმა ნორმა ბოსკემ (Norma Bosquet), რომელიც დიტრიხს ყოველდღიურად უწვლიდა, სენსაციური განცხადება გააკეთა. მისი სიტყვებით, 91 წლის მარლენ დიტრიხი ინფაქტით არ გარდაცვლილა, როგორც ეს ადრე ითვლებოდა, არამედ ნარკოტიკების გადამეტებული დოზის მიღებით თავი მოიკლა. გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე მას ტვინში სისხლი ჩაეცქა და მიხვდა, რომ აღარ შეეძლო სხვებისგან განცალკევებით სიცოცხლე და პარიზში სახლიდან უნდა გამქრალიყო, სადაც მან ამდენი წელი გაატარა. ასეთი გადაწყვეტილება კინოვარსკვლავის ხასიათს აბსოლუტურად შეეფერებოდა. იგი ყოველთვის დაჯილდოვებული იყო არა მარტო ცივი ჩრდილოური სოლამაზით, არამედ ასეთივე მძიმე ხასიათითა და ნათელი გაგებით, თუ რა სურდა მას და როგორ უნდა მიეღწია მიზნისთვის.

პიკასო თბილისში - ის, ვინც მხოლოდ პოულობს

პირველი გვირგვინი



სანაო პიკასოს ნაშრომი

სიღნაღიდან თბილისში, სანამ ექსპოზიციას ბათუმს გაამგზავრებენ, პაბლო პიკასოსა და საქართველოს სულ პატარა, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანი გზები დააკავშირებთ. აქამდე პიკასოს გამოფენა საქართველოში არასდროს ყოფილა. თუმცა, შეხების წერტილები პაბლოსა და ქართველებს რამდენჯერმე ნამდვილად ჰქონდათ. შეიძლება მხოლოდ რამდენიმე აღინიშნოს: პირველი - ელენე ახვლედიანის ზამთართან დაკავშირებული, უკვე ცოტა რომანტიზმში გახვეული ისტორია, - როგორ მოეწონა ნამუშევარი პიკასოს და როგორ არ დაუტოვა ელენემ, შემდეგ ბევრად უფრო რეალისტური ამბავი, თუ როგორ აღფრთოვანდა ფიროსმანიტ პაბლო - ამ ამბის დამადასტურებელი თავად პაბლოს მიერ დახატული გრაფიკული ფიროსმანიტი. ბევრად მოგვიანებით, სიცოცხლის ბოლო წლებში, ესპანელი ფრანგი კიდევ ერთმა ქართველმა, სულ პატარა გოგონამ, რუსუდან ფეტვიანაშვილმა მოიხილა. ეს გოგონა დაიმასხვრეთო, მოუწოდებდა პიკასო აუდიტორიას. შესაძლოა იყო სხვა ამბებიც, რომელთა შესახებ მე არ მსმენია და ნამიკობაზე, თუმცა, ახლა ეს როდია მთავარი. დღეს სულ სხვა შეკითხვები გვაქვს და ამ შეკითხვებზე დანივლ პერუა, საქართველოში ჩამოტანილი ექსპოზიციის მთავარი მცველი, ზერვოსის მუზეუმის ერთ-ერთი კურატორი და პიკასოს ხელოვნების უბადლო თეორეტიკოსი მპასუხობს.

- რატომ მიმართა 80 წლის ასაკში პაბლო პიკასომ გრაფიურას? გრაფიურა ხომ ენერჯის და გაათმაგებულ შრომას მოითხოვს.

- სწორედ ამიტომაც, მას აქამდე გრაფიურაზე სერიოზულად არ ჰქონდა ნამუშევარი და ალბათ გადაწყვიტა, ესეც ეცადა. ის ხომ დიდი ექსპერიმენტატორი იყო. თანაც მიაქცეოთ ყურადღება, რომ ეს გრაფიურები ფერშია, ანუ ბევრად რთული გზით მიდის

პაბლო. სამაგიეროდ, არაჩვეულებრივ მხატვრულ შთაბეჭდილებას ქმნის.

- ექსპოზიცია 1962 წლის ნამუშევრებს მოიცავს. მათი მთავარი გმირი მისი მეუღლე ფაკლინია ვიცო, რომ ამ დროს პიკასო კანში ცხოვრობს. როგორ აღნიშნავდით ამ პერიოდს მის ცხოვრებაში?

- ფაკლინი ძალიან უყვარდა, ალბათ ისევე, როგორც ყველა ქალი, რომელიც მის ცხოვრებაში სხვადასხვა დროს არსებობდა. ის ხომ საერთოდ გიჟდებოდა ქალებზე. ამ დროს ფაკლინი მისი ახალი სიყვარულია, თან ულამაზესი კანი - მოკლედ, 1962 წელს პიკასოს საესე და საინტერესო ცხოვრება აქვს. ეს ჩანს კიდევ ამ ნამუშევრებში. მას უყვარს და ყველაფერს სიყვარულით აკეთებს. მოხარულები ვართ, რომ ჩვენმა ექსპოზიციამ ასეთი დაინტერესება გამოიწვია.

- ცხადია, ეს ხომ პიკასოს გამოფენაა... მისდამი ინტერესი ბუნებრივია და ეს ინტერესი მაშინაც ძლიერი გახლდათ, როცა სოცრეალისტურ კულტურულ სივრცეში ვიყავით. ამ ინტერესს გარკვეულ პერიოდში კიდევ აღვივებდნენ ერთი პლაკატური ფრაზით - პიკასოც კი კომუნისტია!

- ეს ძალიან საინტერესო თემაა... პიკასო მართლაც უთანაგრძობდა კომუნისტებს, თუმცა, იყო იმედაც-რუებაც. ვიცი, რომ საბჭოთა პერიოდში საბჭოთა ხელისუფლება თუ კულტურა ამაზე აქცენტს აკეთებდა. თუმცა, პიკასო კომუნისტში ხედავდა იმ ხიბლს, რომელიც რეალურად კომუნისტებში ადრეულ ეტაპზე დაკარგა.

- კომუნისტური ნაციონალისტური იტამაზა დიდი როლი ითამაშა...

- უთოოდ...

- მოგვიყვით ზერვოსის მუზეუმზე, გვითხარით რომელ კოლექციებს ფლობს ის, ან როგორ შეაგ-

რევთ ამდენი პიკასო?

- ზერვოსის მუზეუმი ცნობილი ფრანგი მწერლის რომენ როლანის სახლში არის განთავსებული. მუზეუმში დაცული გვაქვს არა მხოლოდ პიკასოს, არამედ კალდერის, ჯაკომეტის, ერნსტის, ჰელიონის, მიროს, კანდინსკისა და სხვა ცნობილ მხატვართა ნამუშევრები. მუზეუმის დამაარსებელი გახლდათ გამოჩენილი ფრანგი გამომცემელი და ხელოვნებათმცოდნე ქრისტინ ზერვოსი, რომელმაც გარდაცვალების შემდეგ პირადი კოლექცია ქალაქ ვენიზიურაში უანდერძა. ზერვოსი ცნობილი პუბლიცისტი და არტიკლისტი გახლდათ. ის ახლოს იყო პიკასოსთან. ეს ნამუშევრები სხვადასხვა დროს ზერვოსმა და მისმა მეუღლემ მხატვრისგან საჩუქრად მიიღეს. ამ წყვილმა არაერთი გამოფენა პიკასოს სიცოცხლეშივე გამართა.

- ზერვოსის მუზეუმსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის

ურთიერთობა საკმაო ხნის წინ დაიწყო, მაგრამ სანამ ამ გამოფენის საქართველოში ჩამოტანას გადაწყვეტილი, ჩვენ ომი გადავიტანეთ და ეს ქვეყანა განსაკუთრებული სტაბილურობით არ გამოირჩევა, მით უფრო უცხოელისთვის. ხომ არ ყოფილა გარკვეული სკეპტიკური დამოკიდებულება ექსპოზიციის მოგზაურობასთან დაკავშირებით? და რამდენად ენდოთ საქართველოს მიერ შემოთავაზებულ უსაფრთხოების მექანიზმებს?

- ცხადია, იყო გარკვეული შემოფოთება საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიმართ, მაგრამ ჩვენ ეჭვის გარეშე განდეთ პიკასო და ამას არც ვნანობთ. სამაგიეროდ ჩვენს მუზეუმში გამოფენილია ქართველი მხატვარის - ფიროსმანის ნამუშევრები.

- რადგანაც ფიროსმანი ასხენეთ, როგორი იყო რეზონანსი ამ გამოფენასთან დაკავშირებით?

- ფიროსმანი ძალიან საინტერესო მხატვარია, უნიკალური მოვლენა და ჩვენი დამთავალიერებელიც მისი შემოქმედებით ძალიან დაინტერესდა. ვფიქრობ, ერთობლივი პროექტები სამომავლოდაც უნდა განვახორციელოთ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პიკასოსთან დაკავშირებული სასაზოგადოებო ღონისძიებები ამ გამოფენის გახსნით არ დასრულდება. გამართება სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტები და ექსპოზიციის დამთავალიერებელი არც ერთი დღე არ მოაკლდება. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილია მხოლოდ გრაფიკა, ექსპოზიციამ ჩანს ის გრანდიოზული უნარი და ნიჭი, რომელსაც უბრალოდ პიკასო ერქვა. დიდი ხელოვნება, რომელიც, როგორც თავად აღნიშნავდა, არასდროს არაფერს ეძებდა, მხოლოდ პოულობდა.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ დაქვემდებარების სააგენტო მის. ქ. თბილისი, გულუას ქ. №6 აცხადებს ტენდერს სსიპ ტანსაცმლის არჩევანის უნიფორმის და „ქეხანის უნიფორმის“ სახელმწიფო შესყიდვისათვის და მინაწილეობის მისაღებად იქვეყნ დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტებია:

ლოტი №	დასახელება	კომპლექტის შემადგენლობა	კომპლექტის რაოდენობა	მწოდების ადგილი
1	სსიპ ტანსაცმლის არჩევანის უნიფორმის	ქურთუკი - ზამთრის	62	ქ. თბილისი
		ქურთუკი - ზაფხულის	137	
		ქაღალტი	101	
		საწვიმარი დაბადა	61	
		საწვიმარი შარვალი	61	
		შარვალი - ზამთრის	63	
		შარვალი - ზაფხულის	182	
		პურანგი - ზამთრის (გრძელმკლავიანი)	115	
		პურანგი - ზაფხულის (მოკლემკლავიანი)	114	
		ქედი ზამთრის	62	
ქედი ზაფხულის	113			
2	სსიპ ტანსაცმლის უნიფორმის - ტელის ხანისებისათვის	ქურთუკი	33	
		შარვალი		
		ქაბატი		
		ცეცხლგამძლე მკაფიუკლიანი ფეხსაცმელი		
		ხელთათმანი		
		პურანგი		
მაფსურტი				
სათვალე				

შენიშვნა: პირველ ლოტში უნიფორმის ზომების აღება უნდა მოხდეს: თბილისში, ლავრაძის ქ. 70, ალგანში, დელოვლის წყაროში, ბორჯომში, ხარაგაულში, წყალტუბოში, ნაკში და ქობულეთში. პირველი ლოტით გათვალისწინებული საკონტის ზომები და ფერი უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან, აგრეთვე მე-2 ლოტის ზომები უნდა დასაზუსტდეს დამკვეთთან. პირველი ლოტის დიზაინი უნდა შესრულდეს სსიპ დაქვემდებარების სააგენტოს თავმჯდომარის 2008 წლის 1 აპრილის №5ა/11 §1 ბრძანებით დამტკიცებული ნიმუშების შესაბამისად. აღტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 70 კალენდარული დღისა.

3. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, პრეტენდენტებს შეეძლება სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 29 ივნისიდან 2009 წლის 20 ივლისის 15 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

სატენდერო მოსაკრებელი შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 302005500 (სატენდერო მოსაკრებელი) 5508 - სსიპ დაქვემდებარების სააგენტო

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (ქართულ ენაზე) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში 2009 წლის 20 ივლისის 15 საათამდე.

სატენდერო წინადადებები გაიხსნება 2009 წლის 20 ივლისის 15 საათზე, ქ. თბილისი, გულუას ქ. №6 მე-5 სართული სსიპ დაქვემდებარების სააგენტოს საკონფერენციო დარბაზში

5. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით. რიგგარეშე: უნდა აღემატებოდეს 30 დღის სატენდერო წინადადების მიქსელის ვადას.

6. ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი - საბანკო გარანტია ხელშეკრულების ვადური ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.

7. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

იურიდიულ პირთათვის:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადასახდის უკანონო საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დადგინების არარსებობის შესახებ.

ფიზიკურ პირთათვის:

- გადასახადის გადასახდის სარეგისტრაციო მოწმობა;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გავტრების საქმის წარმოება;

როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ;

შენიშვნა:

1. საკვალიფიკაციო მონაცემების დასადასტურებელი დოკუმენტები უნდა იქნეს გაცემული არაუგვიანეს სატენდერო განცხადების გასაცემისთანავე სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

2. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტებმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.

8. საკვალიფიკაციო მონაცემები შექმნილი დასადასტურებელი არ უნდა იქნეს დასადასტურებელი.

9. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე, გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციის სსიპ დაქვემდებარების სააგენტოში.

10. ტენდერში შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: პლატონ ფიქსიშვილი ტელ: -995 752355; მისამართი: საქართველო, 0114 ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6, მე-5 სართული.

სატენდერო კომისია 29 ივნისი 2009 წელი

სპორტი

ქართული კლუბები ევროკაპანის წინ

მიხეილ აბიჯიანი

ორი დღეც და ქართული კლუბები მორიგ ევროპულ კამპანიაში ჩაებმებიან. თუ წინა წლების გამოცდილებას გავითვალისწინებთ, ეს კამპანია არც ისე ხანგრძლივი, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ ძალზე ხანმოკლე იქნება. ამის დასტურად თუნდაც მხოლოდ მარშანდელი მაგალითის მოყვანაც კმარა, როცა ევროტურნირების მონაწილე ოთხი ქართული კლუბიდან მეორე საკვალიფიკაციო ეტაპს ვერცერთი ვერ გასცდა. ბოლო შემთხვევა, როცა ჩვენებმა მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახეს, 2003 წელს მოხდა. მაშინ თბილისის "დინამომ" თვით უფროს თასის ჯგუფურ ეტაპსაც კი უნია, მაგრამ, უკვე ქვეჯგუფში ყველა მატჩი დათმო.

ისე, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ევროსეზონი, რომელიც სტარტს 2 ივლისს აიღებს, ამ თვალსაზრისით არა თუ გამონაკლისი, არამედ, ქართული კლუბების პროგრესირებადად წარმატებული გამოსვლების სასტარტო წელიც კი გამოდგეს. ამის გარკვეული ნიშანბრებები ნამდვილად არსებობს და დიდა იმის ალბათობა, რომ წელსვე ევროტურნირების საგზურმოპოვებულმა ოთხივე კლუბმა გარკვეული სიურპრიზი შემოგვთავაზოს. ეს გუნდები ამჟამად მზადდებიან პროცესში არიან რაზეც ქვემოთ გავამახვილებ ყურადღებას.

დავიწყებ წინა სედეგების მიხედვით ქართული ევრო-ოთხეულიდან უსუსტესი გუნდით - "ზესტაფონით", რომელიც პრინციპში ამ წინასასეზონო პერიოდში ჯერ-ჯერობით ყველაზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. გია გეგუჩაძემ თავისი გუნდი სლოვენიაში წაიყვანა, სადაც მეტად ნაყოფიერი წინასასეზონო უცხოური სანვრთნელი შეკრება გაატარა. ორი კვირის განმავლობაში ორჯერადი მომქანცველი ვარჯიშების და ფიზიკური დატვირთვის ფონზე "ზესტაფონმა" ოთხი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა ევროპული საზომებითაც კი საკმაოდ მაღალი კლასის გუნდებთან და ყველა მატჩი დადებით შედეგით დასრულდა. პირველ ორ მატჩში იმეორებს პოლონეთის მეოთხეადგილოსანთან, "პოლონიასთან" მოუნია დაპირისპირება. ორივეჯერ ყაიმი დაფიქსირდა; პირველი სეხვედრა, რომელიც მე-50 წუთზე უამინდობის გამო შეწყდა, 1:1 დასრულდა, ხოლო ორი დღის შემდეგ ამ გუნდებმა სრულ 90 წუთში კიდევ თითო გოლი გაიტანეს და ურთიერთდაპირისპირებაში უფრო ძლიერი ვერც ამჯერად გამოავლინეს - მატჩი 2:2 დასრულდა.

სხვათა შორის, იმ შემთხვევას, თუ "ზესტაფონი" ევროპის ლიგის პირველ საკვალი-



ფიკაციო ბარიერს დაძლევეს, რისი ალბათობაც ძალიან დიდია (ამ ეტაპზე იმერელთა გუნდის მეტოქე უსუსტესი ჩრდილოირლანდიური "ლისბერნია"), მეორე ეტაპზე მეტოქე პოლონური "ლეგია" იქნება, რომელმაც გასულ სეზონში სულ მცირედით გაასწრო "პოლონიას".

მესამე საკონტროლო შეხვედრა გეგუჩაძის შეგირდებმა სლოვენის ჩემპიონთან, "მარიბორთან" გამართეს და არც ამჯერად შეურცხვენიათ თავი. მარტალია, შეხვედრის დებიუტი მასპინძლებს დარჩათ, რომლებმაც მეათე წუთზე მამალაძეს გოლიც გაუტანეს (თავური დარტყმით ანგარიში ჯინიჩმა გახსნა), მაგრამ შემდგომ გამოიკვეთა სტუმართა სრული უპირატესობა. "ზესტაფონმა" არა მხოლოდ გაათანაბრა ანგარიში, არამედ, გამარჯვებაც შეეძლო: 21-ე წუთზე აფციაურის ჩანოძების შემდეგ გუნდის ახალწვეულმა, ჯაბა დვალამ თავური დარტყმითვე ალაღვიანა ანგარიშიში ნონასწორობა, მწიფე ტაიმის მიწურულს კი გამარჯვების გოლიც უნდა გაეტანა, მაგრამ მისივე ნაკეცვისთვის დანიშნული თერტმეტყმეტრიანი დარტყმის რეალიზება ვერ შეძლო. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთა ლიგის სანყის საკვალიფიკაციო ეტაპზე "ვიტ ჯორჯიას" მეტოქე სწორედ "მარიბორი" იქნება.

დასკვნითი საკონტროლო მატჩი "ზესტაფონმა" 25 ივლისს, სლოვენის ვიცეჩემპიონ "ჰიტ გორიცასთან" ჩაატარა და არც ამჯერად დაარღვია "საყაიმო ტრადიცია": სახიფათო მომენტებით არც თუ დახუნძლული შეხვედრა უგოლოდ, 0:0 დასრულდა. გუნდი 2 დღის წინ დაბრუნდა სამშობლოში და მზადებას განაგრძობს. 1 ივლისს "ზესტაფონი"

ჩარტერული რეისით ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქ ბელფასტისკენ აიღებს გზას, სადაც 2 ივლისს პირველ მატჩს ჩაატარებს "ლისბერნთან". საპასუხო შეხვედრა ერთი კვირის შემდეგ, 9 ივლისს ზესტაფონში გაიმართება.

ასევე 2 ივლისს აიღებს სტარტს რუსეთის "ოლიმპიკი", რომელსაც არანაკლებ სუსტი მეტოქე ჰყავს - ფარერის კუნძულების წარმომადგენელი "ბ 36". "ოლიმპთან" დაკავშირებით მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ გუნდი საქართველოში ემზადება, მაგრამ სერიოზულ საერთაშორისო მიზნებს ისახავს. ამჟამად ბილისში იმყოფება სოლიდური დელეგაცია ბრაზილიდან, რომლებიც ამ ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს, "ატლეტიკო პარანაენსეს" წარმოადგენენ. მზადდება კონტრაქტი, რომლის შედეგადაც "ოლიმპი" და "ატლეტიკო პარანაენსე" ძალზე მჭიდროდ დაინყებენ ურთიერთთანამშრომლობას. კონტრაქტის დეტალები ჯერ-ჯერობით უცნობია, თუმცა, შეიძლება ითქვას, წინასწარი ინფორმაციით, ამ კონტრაქტის გაფორმება-განხორციელების შემთხვევაში "ოლიმპი" არა მხოლოდ საქართველოსა და კავკასიაში, არამედ მთელს პოსტსაბჭოური სივრცეში ერთ-ერთი გამორჩეული კლუბი გახდება.

საქართველოს ჩემპიონი, თბილისის "ვიტ ჯორჯია" ტრადიციას არ დალატობს და წინასასეზონოდ წელსაც უკრაინაში ემზადება. რამაზ მუშლაძემ გუნდი ყირიმში, მეორე ლიგის ბინადარ "კრიმტეპლიცას" სანვრთნელ ბაზაზე წაიყვანა და ორჯერადი ვარჯიშების გარდა სპარინგებშიც გამოცდის. უკვე შედგენილია ამხანაგური მატჩების სიაც. დღეს, 29 ივლისს

"ვიტ ჯორჯიას" მეტოქე იქნება კრივი როგის "კრივბასი", 3 ივლისს ჩვენი ჩემპიონი ხარკოვის "ელიოსს" დაუპირისპირდება, 6 ივლისს - სიმფერპოლის "ტავრიას", 8 ივლისს ალჩევსკის "სტალს" და შეკრების სპარინგანაწილს ჩვენი გუნდი 9 ივლისს, მასპინძელ "კრიმტეპლიცას" გუნდთან მატჩით დაასრულებს.

თბილისის "დინამოც" უცხოეთში, კერძოდ, გერმანიაში და ლატვიის ლიეპაის "მეტალურგსთან" მატჩისთვის ემზადება, რომელსაც ჩვენი ექს-ჩემპიონი ევროპის ლიგის ტურნირის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის ეგიდით ჩაატარებს. როგორც ქვეყნის თასის მფლობელი, "დინამო" ამ ტურნირში გვიან, მეორე ეტაპიდან ერთგება და პირველ შეხვედრას 16 ივლისს გამართავს. კახა კაჭარავას გუნდი ბაზელანკენბურგის სპორტკომპლექსშია ბაზირებული, სადაც ვარჯიშთან ერთად ამხანაგურ შეხვედრებსაც ჩაატარებს. როგორც ჩანს, ეს ტესტმატჩები მხოლოდ და მხოლოდ გუნდისთვის კარგი ფსიქოლოგიური განწყობის შესაქმნელად არის შერჩეული და არა მისი სპორტული ოსტატობის დახვეწისთვის. ჩვენი ვიცეჩემპიონის მეტოქეები იქნებიან გერმანიის ობერლიგების წარმომადგენლები - "ზელბიცი", "გერა", "ჰესენი" და "კარლ ცეისი". მატჩები გაიმართება შესაბამისად 30 ივლისს, 3, 5 და 7 ივლისს. 8 ივლისს "დინამო" თბილისში დაბრუნდება და მშობლიურ, დიღმის სანვრთნელ ბაზაზე გააგრძელებს სამზადისს.

20 მარტს ტრაზონში

2011 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევ ეტაპზე, საქართველო-რუსეთის სარაგბო დაპირისპირებას თურქეთი უმასპინძლებს. საბოლოო გადაწყვეტილება ევროპის რაგბის ფედერაციამ მოსკოვში მიმდინარე გენერალურ ასამბლეაზე გუშინ მიიღო.

ერთა თასის გათამაშების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი, რომლის პირობითი მასპინძელიც საქართველოა, 2010 წლის 20 მარტს ტრაზონში გაიმართება. შეგახსენებთ, რუსეთში ჩასატარებელ შეხვედრას 22 მარტს უკრაინის ქალაქმა მარიუპოლმა უმასპინძლა და ბორჯღალოსნებმა დათვალი 29:21 დაამარცხეს.

"დრიფტის მეფე" გამოვლინდა

25 ივნისს რესპუბლიკის მოედანზე, საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციისა და თბილისის მერიის ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა Extreme Weekend -ის კიდევ ერთი ძალიან სახალისო, ადრენალინით სავსე და ექსტრემალური შეჯიბრი - დრიფტის მეფე (Drift King).

შეჯიბრში ბევრმა ავტომოყვარულმა მიიღო მონაწილეობა, ყველა მათგანი თავის მხრივ შეუდარებელი იყო, მათ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინეს და შესანიშნავი შოუ აჩვენეს მაყურებელს, თუმცა დრიფტის მეფის გვირგვინი მხოლოდ ერთ მონაწილეს ერგო, მეჯიბრის გამარჯვებული და ჟიურის რჩეული ზვიად ადვიშვილი გახდა.

ვიტ-ჯორჯია უკრაინაში გაემგზავრა

საქართველოს ჩემპიონი უკრაინაში ყირიმის ნახევარკუნძულზე გაემგზავრა, სადაც ადგილობრივი კრიმტეპლიცას ბაზაზე დაბინავდება. ვიტჯორჯიელები უკრაინაში 5 ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ.

უკრაინაში ნესტორ მუმლაძემ 24 ფეხბურთელი წაიყვანა:

მეკარეები: გრიგოლ ბედიასვილი, არდალიონ მიქაბერიძე, შოთა ლურბელიძე

მცველები: ლაშა ჯაფარიძე, დავით ლომია, ალექსანდრე კვახაძე, ნიკა მგელაძე, გიგა ბეჭვია, ამირან ყველაშვილი, დავით ხურცილავა, გურამ ადამაძე, ლაშა კასრაძე, რევაზ ლანიაშვილი

ნახევარმცველები: გიორგი დათუნაიშვილი, ლუკა რაზმაძე, ირაკლი კლიმიაშვილი, გიორგი კახელიშვილი, გიორგი ვასაძე, გიორგი ჯანელიძე, დავით მაისაშვილი

თავდამსხმელები: ჯაბა ლიპარტია, გიორგი ბერიაშვილი, ვახტანგ კვარაცხელია, ბექა ზაქარაძე, მიხეილ როსტიაშვილი.

ორმხრივი სურვილი

მილანი უკვე რამდენიმე კვირაა, ჯეკოს მოპოვებას ცდილობს. თანხვედრია "მილანისა" და ჯეკოს მიზნები. მილანში თამაში ჩემი უდიდესი ოცნებაა - განაცხადა ვოლფსბურგის 23 წლის ბოსნიელმა მეგოლე ედინ ჯეკომ. მეტის თქმა ამ თემასთან დაკავშირებით არ შემიძლია - დასძინა მან - უახლოეს დღეებში, სავარაუდოდ, გუნდის მწვრთნელ არმინ ფეხა და კლუბის დირექტორებს შეხვდები და ყველაფერი იქ გაირკვევა. ჩემი სურვილია, რომ უკვე 6 ივლისს მილანის სანვრთნელ ბაზაზე ვიყო. როსონერი ბოსნიელ თავდამსხმელში 25 ან 30 მილიონ ევროს იძლევა. მაგრამ გერმანიის ჩემპიონის მის გაყიდვაზე კატეგორიულ უარს აცხადებს.

გატუზოს "მილანში" სურს დარჩენა

ბოლო ხანს იყო საუბარი, რომ ჯენარო გატუზო კლუბს შეიცვლიდა, თუმცა მილანისა და იტალიის ნაკრების ნახევარმცველს ეტყობა როსონერიში სურს კარიერის დასრულება და იგი მზადაა დათანხმდეს ნაკლებ ანაზღაურებაზე თუ კლუბი მას უფრო გრძელვადიან კონტრაქტს გაუფორმებს. "ამ დღეებში ვესაუბრე ჯენაროს და მან მითხრა, რომ ხელფასის დაკლების ხარჯზე მას გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმება სურს. მან გარკვევით ამხსნა, რომ მისთვის მთავარი "მილანში" თამაშია და ანაზღაურებას მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს ანიჭებს. ცხოვრებაში ბევრ ადამიანთან მქონია ურთიერთობა, მაგრამ გატუზოს მსგავსს არსად შეხვედრივარ. იგი მართლაც სამაგალითო და უერთგულესი ადამიანია", - ამბობს გატუზოს აგენტი გაეტანო პასტორელი.

ჭონსონმა "ლივერპულს" მიაშურა

გლენ ჯონსონი, რომელიც თავის დროზე ჩელსიში თამაშობდა გასული სეზონი კი პორტსმუთში გაატარა ლივერპულთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ჯონსონი საუცხოო ფეხბურთელია, რომელსაც გუნდის გაძლიერება შეუძლია. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ის ინგლისელია. გლენს რამდენიმეჯერ ვესაუბრე და მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ჯონსონს გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს და პროგრესირება სურს. მიუხედავად იმისა, რომ მას მანჩესტერ სიტი და ჩელსი ეპატიუებოდა, ფეხბურთელმა არჩევანი ჩვენზე შეაჩერა - ამბობს ბენიტესი, რომელსაც უკვე კარგა ხანია მაღალი დონის მცველის შეძენა სურს.

ლივერპულს ჯონსონის შეძენა 17,5 მილიონი გირვანქა დაუჯდა, მაგრამ პორტსმუთი არასრულ თანხას მიიღებს, ვინაიდან პიტერ კრაუჩის ტრანსფერის სანაცვლოდ მერსისაიდელისთვის ფული სრულად არ გადაუხდია.

"ბაიერნი" ნოიერს არ ეშვება

მიუხედავად იმისა, რომ შალკე მანუელ ნოიერის გაყიდვას არ აპირებს მიუნხენის ბაიერნის მესვეურები ჯიუტად აცხადებენ, რომ ამ კიპერის შესაძენად ყველა ყონეს იხმარენ.

რეკორდმაისტერებს კანის ნასვლდის შემდეგ მეკარის პრობლემა სერიოზულად შეექმნათ და 23 წლის ნოიერის შეძენით საკითხს ნამდვილად მოაგვარებდნენ, თუმცა შალკეს ახალი თავკაცი ფელიქს მაგათი აცხადებს, რომ ნოიერი არ გაიყიდება.

მე აქ იმისათვის მოვედი, რათა წარმატებას მივაღწიო და ტიტული მოვიხვეჭო, და, თუკი გუნდში გერმანიის საუკეთესო მეკარე მყავს, რომელიც თან ამ კლუბის აღზრდილია, რა ჭკუით უნდა დავთმო ის? - ამბობს მაგათი.

20 მილიონი ჰუნტელარში?

ესპანური მედიის ინფორმაციით გერმანული შტუტგარტი მზადაა რეალის ჰოლანდიელ ფორვარდ კლას იან ჰუნტელარში 20 მილიონი ევრო გადაიხადოს.

აღსანიშნავია, რომ შტუტგარტის გარდა ჰოლანდიელის შეძენა სხვა კლუბებსაც სურთ, კერძოდ მანჩესტერ სიტის და ტოტენჰემს.

მართალია, ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა სამეფო კლუბში 20 შეხვედრის გამართვა და 8 გოლის გამართვა მოასწრო, იქ მაინც მის (და კიდევ რვა მოთამაშის) გაყიდვას ფიქრობენ.

"ქალბატონმა" დაგოსტინო ვერ იყიდა

ტურინის იუვენტუსმა უდინეზეს ნახევარმცველ გაეტანო დაგოსტინოს შეძენა ვერ მოახერხა.

იტალიური მედიის ინფორმაციით, ბებერი ქალბატონის მესვეურებს ამ ტრანსფერის განსახორციელებლად საჭირო თანხა არ გააჩნიათ.

ტურინული კლუბი სატრანსფერო ბიუჯეტის გაზრდას ფენერბახჩესთვის კრისტიან პოულსენის მიყიდვის საშუალებით გეგმავდა, თუმცა, შეთანხმება არ შედგა. ამგვარად, პოულსენის მიერ თურქეთში გადასვლაზე უარის თქმამ, ტურინულ კლუბს დაგოსტინოს შეძენისთვის საჭირო სახსრების მოძიებაში ხელი შეუშალა.

ტურე "ბარსელონაში" რჩება

კოტ დ'ივუარელმა ნახევარმცველმა, იაია ტურემ ესპანურ ბარსელონასთან ერთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი. ამგვარად ტურე ბარსელონაში 2012 წლამდე დარჩება.

25 წლის ფეხბურთელი 100 მილიონ ევროდაა შეფასებული. 2008-2009 წლების სეზონში ესპანეთის ჩემპიონატში აფრიკელმა ფეხბურთელმა 25 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

"მილანი" ორი ტიტულისთვის იბრძოდება

ადრიანო გალიანის განცხადებით მომავალ სეზონში მილანს წარმატებით შეუძლია როგორც იტალიის ჩემპიონატში ასევე ჩემპიონთა ლიგაზე თამაში.

მილანის წინაშე ორი მიზანია დასახული - მოხვედეს სერია A-ს სამ საუკეთესო კლუბს შორის და ჩემპიონთა ლიგაზე რაც შეიძლება მეტი ეტაპი გაიაროს. გუნდს ამის გაკეთება შეუძლია. მილანმა წარმატებას სწორედ ამ მწვრთნელისა და ფეხბურთელთა აღნიშნული ჯგუფის მეშვეობით უნდა მიიღოს - განაცხადა გალიანი.

39 წლის ლეონარდომ, რომელიც მანამდე კლუბის სპორტული დირექტორი იყო, როსონერის თავკაცის პოსტზე ლონდონის ჩელსიში გადასული კარლო ანჩელოტი შეცვალა.

რატომ რეალი და არა სიტი

იანვარში დიდ აურზაური იყო ატეხილი კაკას ტრანსფერთან დაკავრებით. იმხანად მილანის ბრაზილიელ ვარსკვლავს მანჩესტერ სიტი ინვევდა, ბრიტანული კლუბი მზად იყო ფეხბურთელში 100 მილიონი ევრო გადაეხადა თავად ფეხბურთელისთვის კი ხელფასის სახით 15 მილიონამდე გირვანქა სტერლინგი დაენიშნა. ტრანსფერი, რომელიც სარეკორდო უნდა გამხდარიყო არ შედგა და მაშინ ყველაფრის მიზეზად ის დასახელდა, რომ კაკა მილანის ერთგულია და კლუბს არაფრის დიდებით არ დატოვებს. ალბათ ფეხბურთის გულშემატიკივარს რიკი კაკას გულისამაჩუყებელი კომენტარებიც ახსოვს. ფული ჩემთვის არ არის მნიშვნელოვანი, მილანი ჩემი სახლია, როსონერისთვის იგივე მინდა გავხდეთ რასაც ამჟამად ჰალოო მალდინი წარმოადგენს და ასე შემდეგ.

ეჭვი, რომ კაკა ამ კომენტარებში ბოლომდე გულწრფელია, მაშინვე გაჩნდა. ისიც ითქვა, რომ ერთადერთი მიზეზი რის გამოც კაკამ სიტიში გადასვლაზე უარი განაცხადა ის გახლდათ, რომ მანჩესტერული კლუბი გრანდების კატეგორიას არ განეკუთვნება.

დადგა ზაფხული და კაკა რეალში გადავიდა. მართალია, ფეხბურთელი ამჟამადაც



კაკამ "რეალური" მიზეზი დაასახელა

ამტიციებს, რომ ტრანსფერის მთავარი მიზეზი კლუბის სურვილი იყო და არა მისი. ანუ მილანმა ბრაზილიელი ფინანსური მოგების მიზნით გაყიდა. შესაძლოა ასეცაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ცოტა არ იყოს უცნაურია, რატომ არ გაიყიდა კაკა უფრო სარფიანად იანვარში. დასკვნა მარტივია, ზამთარში ტრანსფერზე კაკამ თქვა უარი და ეს როსონერის ერთგულების მიზეზით კი არა არამედ იმის გამო მოხდა, რომ ინგლისური კლუბი კაკას ამბიციებს არ აკმაყოფილებს. აი, სწორედ ამაზე ისაუბრა რიკიმ უცხოელ ჟურნალისტებთან და

ალიარა, რომ ინავრის ტრანსფერი სწორედ თავად ჩაშალა.

იანვარში სიტის შემოთავაზება საკმაოდ საინტერესო იყო. თუმცა გამოგითყდებით და ჩემთვის ინგლისურ კლუბში გადასვლა კარიერაში უკანგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. სიტი ჯერ მხოლოდ პროექტია ამ კლუბის ხელმძღვანელები დიდი კლუბის შექმნას აპირებენ, მაგრამ როდის შეწყვეტენ ინვესტიციებს არავინ იცის. ბოლო ხანს არაერთი მცირე კლუბი იწყებს სატრანსფერო ბაზარზე დიდი ფულის ხარჯვას, შემდეგ ინვესტიციები წყდება და ამ კლუბების სა-

ხელები არავის ახსოვს. მე ასეთ რისკზე ნამდვილად ვერ წავიდი. ისიც ცხადია, რომ კარიერის წინსვლისთვის კლუბის შეცვლა მჭირდებოდა და სწორედ ამ დროს გამოჩნდა რეალის ვარიანტი. არავინ იფიქროს, რომ რეალი იმის გამო ავირჩევა, რომ პრიმერა დივიზიონში იუფრო მაღალი სათამაშო დონეა ვიდრე პრემიერლიგაში. უბრალოდ რეალი გრანდია. რომელი კლუბი დაიკვებნის კიდევ 9 მოგებულ ევროპის თასს. რეალი გრანდია და ყოველთვის ასეთად დარჩება, - აცხადებს კაკა.

ლაპორტას სატრანსფერო გეგმები

იმ ფონზე, როდესაც მადრიდის რეალი ვარსკვლავს ვარსკვლავზე ყიდულობს, ცოტა არ იყოს, გასაკვირია ბარსელონას პასიურობა. გასული სეზონის ტრიუმფატორი სატრანსფერო ბაზარზე აშკარად არ აქტიურობს. ამ ეტაპისთვის ბარსა უფრო საკუთარი ფეხბურთელების შენარჩუნებითა დაკავებული ვიდრე ახლების ყიდვით. მართალია, იმ შემადგენლობით, რომელიც ბარსას გასულ სეზონში ჰყავდა კიდევ ბევრის მიღწევაა შესაძლებელი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თანამედროვე ფეხბურთში კლუბებს ახალი სისხლი სჭირდებათ.

გასულ უქმეებზე ბარსელონას პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ კატალონიური რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში კლუბის სატრანსფერო გეგმებზე ისაუბრა. ლაპორტას თქმით, ფაქტობრივად გადაწყვეტილი ამბავია, რომ გუნდი შეიძენს პალმეირასის ახლაგაზრდა ბრაზილიელ ნახევარმცველ კიერსონს, აგრეთვე საუბარია დავიდ ვილიას, ფრანკ რიბერის და ფელიპე ლუისის შეძენაზეც.

კიერსონი ფაქტობრივად უკვე ვიყიდეთ, მაგრამ ითამაშებს თუ არა მომავალ სეზონში ჯერ უცნობია. ბრაზილიელი უდაოდ ნიჭიერია, თუმცა ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა და გამოუცდელი. ვნახოთ რა იქნება. სეზონისწინა მზადებას ჩვენთან ერთად გაივლის, შემდეგ კი უკვე პეპ გვარდიოლა გადაწყვეტს მის ბედს. თუ პეპმა ჩათვალა საჭიროდ მისი გუნდში დატოვება, კიერსონი მომავალ სეზონში ითამაშებს ბარ-



ლაპორტამ გეგმები გაამხილა

სელონაში თუ არა ერთწლიანი იჯარით მაინც რომელიმე კლუბში გავეშვებით, რათა გამოცდილება მიიღოს, - აღნიშნა ლაპორტამ.

ამის შემდეგ კი ბარსელონას პრეზიდენტმა უკვე გამოცდილ ფეხბურთელებზე ისაუბრა: ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ რიბერის შეძენა გესურს, მაგრამ ყველაფერი ჩვენს სურვილზე როდია დამოკიდებული. ბაიერნმა თუ ფრანგის გაყიდვა არ ისურვა ვერაფერს ვიზამთ, ხოლო თუ რიბერი ტრანსფერზე დააყენეს, მაშინ მას არარეალური ფასი არ უნდა დაადონ. ახლა ეტოოზე მინდა გესაუბროთ. კამერუნელის გადაბირება მანჩესტერ სიტის სურს. ინგლისელები სემის საკმაოდ სარფიან კონტრაქტს სათავზობენ და თუ ფეხბურთელმა ნასვლა ისურვა ჩვენ მას ხელს ვერ შევუშლით. ეტოოს გაყიდვის შემთხვევაში აუცილებლად უნდა შევიძინოთ დავიდ ვილია. ისე, ვილიას შეძენა არც მაშინაა გამორიცხული თუ ეტოო დარჩება, მიმჩნია, რომ ორივე ერთად მშვენივრად შეძლებს ბარსელონაში თამაშს. რაც შეეხება ლუის ფელიპეს. ჩვენ დეპორტივოს საკმაოდ კარგი შეთავაზებით მივმართეთ, თუმცა ლა კორუნიელები ამ ფეხბურთელში 20 მილიონ ევროს ითხოვენ, ეს კი სრულიად არარეალური ფასია.

ბანკსადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ტენდერს უწყვეტი ელექტროკვების სისტემის (UPS) შესყიდვის და მისი ინსტალაციის მიზნით და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

- შესყიდვის ობიექტი:** უწყვეტი ელექტრო კვების სისტემა (UPS) შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით:
 - სისტემა უნდა იყოს მოდულურ პრინციპზე აგებული;
 - რეზერვირების სქემა N+1, შემდგომში ადვილად გაფართოების შესაძლებლობით;
 - ერთი მოდულის ნომინალური სიმძლავრე - მინიმუმ 16 კვტ;
 - საჭირო სიმძლავრე - მინიმუმ 32 კვტ;
 - გამომავალი დენი - 3 ფაზა 380 ვოლტი;
 - სარეზერვო კვებით უზრუნველყოფის დრო სრული დატვირთვისას - მინიმუმ 30 წუთი;
 - სისტემას უნდა გააჩნდეს მონიტორინგის და მართვის ფუნქცია, SNMP, Telnet პროტოკოლებით და (ან) Web/App ინტერფეისით;
 - შესაბამისი სიმძლავრის გენერატორთან ინტეგრაციის ფუნქცია;
 - მწარმოებელ ფირმას უნდა გააჩნდეს შემდეგი სერტიფიკატები: ISO 14001, ISO 9001.
 - სტანდარტები: EN 50091-1, EN/IEC 62040-3, EN/IEC 62040-1-1 და ცევის კლასი - IP 20 ან NEMA1
 - **გამომავალი პარამეტრები**
 - გამომავალი დენის სიხშირე - 50 Hz
 - სიხშირის რეგულირების სიზუსტე: ± 0,1%;
 - ძაბვის რეგულირების სიზუსტე: ± 1%;
 - **შემავალი პარამეტრები**
 - ნომინალური შემავალი ძაბვა (3 ფაზა) - 400V 3PH
 - შემავალი სიხშირის დიაპაზონი - 40-65 ჰც;
 - საგარანტიო ვადა - მინიმუმ ოთხი წელი;
 - მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს სისტემის ინსტალაცია.
- დაფინანსების წყარო:** საქართველოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტი.
- მიწოდების ვადები:** შესყიდვის ობიექტის მიწოდების მაქსიმალური ვადაა 90 დღე საინსტალაციო სამუშაოების ჩათვლით.

- შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიები. გარანტიების პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია სატენდერო დოკუმენტაციაში.
- სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა პრეტენდენტებზე 2009 წლის 29 ივნისიდან - 17 ივლისის 17:00 საათამდე, მისამართზე: სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკი, სათაო ოფისი, ლეონიძის ქ. №3/5, საქართველოს ეროვნული ბანკის შესყიდვის განყოფილება.
- პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტებში, ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ორი ასლი), 2009 წლის 20 ივლისის 16:00 საათამდე, შემდეგი აღნიშვნით: პრეტენდენტის დასახელება, ტენდერის დასახელება ("საქართველოს ეროვნული ბანკის ტენდერი უწყვეტი ელექტრო კვების სისტემის შესყიდვაზე"), მისამართზე: საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისი, ლეონიძის ქ. №3/5, საქართველოს ეროვნული ბანკის შესყიდვის განყოფილება.
- დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.
- წარმოდგენილი სატენდერო პაკეტი გაიხსნება სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, 2009 წლის 20 ივლისის 16:05 საათზე, მისამართზე: ქ.თბილისი, ლეონიძის ქ. №3/5, საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისის სხდომათა დარბაზი, II სართული, ოთახი № 208.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 1. იურიდიული პირისთვის:
 - ა) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
 - ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
 2. ფიზიკური პირისთვის:
 - ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დანესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
 3. როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისთვის:
 - ა) რეკვიზიტებს (ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რევიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);
 - ბ) ინფორმაცია თბილისში ავტორიზებული სერვის ცენტრის არსებობის შესახებ, მისამართის და საკონტაქტო პირების მითითებით;

- ბით;
- გ) ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ პრეტენდენტი აწარმოებს მაღალ კვალიფიციურ და დროულ მომსახურებას დამკვეთის ადგილზე;
- დ) ინფორმაცია ანალოგიური სისტემების მიწოდების და დანერგვის გამოცდილების შესახებ, განხორციელებული პროექტების და დამკვეთების ჩამონათვალით;
- ე) შემოთავაზებული საქონლის მწარმოებელი ფირმის ISO 14001 და ISO 9001 სერტიფიკატების ასლები;
- ვ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წინადადების ფასის 1%-ს ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას;
- შენიშვნა: არარეზიდენტი ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარულად დამოწმებული თარგმანის სახით.
- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
- სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტის გახსნის დღიდან არანაკლებ 30 დღე. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.
- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე, გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
- დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ქ.თბილისი, ლეონიძის ქ. №3/5, ტელ: 442369, 442399. სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო პირები: ზურაბ ლონდაძე, ნიკა ნანუაშვილი. ტენდერის შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე: www.nbg.gov.ge.

საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია

ბანკსადება ტენდერის ჩატარების შესახებ

- ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისამართი ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. N18, აცხადებს ტენდერს ქ. ახალციხის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
- შესასყიდი სამუშაოების მოცულობა დაიყოფა 1 ლოტად.
- ლოტი N1:** ქ. ახალციხეში ფარნავაზ მეფის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- შესრულებული სამუშაო უნდა აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
- ლოტი N1 სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა 2009 წლის 20 აგვისტომდე.
- დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, 2 ეგზემპლარად დალუქულ კონვერტებში (1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 1 ასლი) უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 18 ივლისის 16 საათამდე მისამართზე ქ. ახალციხე, კოსტავას 18, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-3 სართული, ოთახი N4 (გამგეობის აპარატის უფროსი)**
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

 - ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე.
 - ცნობა საჯარო რეესტრის ტერიტორიული ერთეულის სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყალბა.
 - ნოტარიულად დამოწმებული ნუსდების ასლი

ფიზიკური პირისათვის:

 - ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დანესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიული პირისათვის:

 - იურიდიული/ფიზიკური პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)
 - სახელმწიფო ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (ნოტარიულად დამოწმებული ასლი).
 - ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.
 - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დღგ-ს გადამხდელად/ან არგადამხდელად რეგისტრაციის შესახებ
- საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული ბოლო სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშები ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები (იურიდიული პირისათვის ბალანსები, ფიზიკური პირებისათვის დეკლარაციები);
- ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს საერთო მოცულობის, ხელშეკრულების ღირებულების, შესრულებული სამუშაოს ტიპის და შესრულების ვადების ჩვენებით, დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით;
- ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო სანარმოო საშუალებებზე (მანქანა-მექანიზმები, მოწყობილობა დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა), დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით;
- ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა თანამდებობა, გვარი სახელი და მამის სახელი, მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი), დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით;
- ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პირი არაა შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში
- იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ისინი **მე-6** პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს **მე-7** პუნქტში ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
- სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლება 200 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, **2009 წლის 15 ივლისის 17 სთ-მდე** მისამართზე: **ქ. ახალციხე, კოსტავას 18, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-3 სართული, ოთახი N4 (გამგეობის აპარატის უფროსი)**
- სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე
- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის და ფიზიკური პირის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, რომელიც წარედგინება სატენდერო კომისიას დალუქული კონვერტებით.
- სატენდერო მოსაკრებელი ჩაირიცხება: **სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, მიმღები: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის N 200122900, სახაზინო კოდი: 300583174, ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.**
- დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. ახალციხე კოსტავას ქ. N18 მე-3 სართული, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ტელ: **895 95 50 51**

სატენდერო კომისია.

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თვალის დაავადებათა კვლევის და მკურნალობის მიმართულაბით

- გთავაზობთ:**
- თვალის სრული გამოკვლევა
 - თვალის ვირუსული, ბაქტერიული, რევმატიული თანამედროვე მეთოდით მკურნალობა (კერატიტი, ირიდოციკლიტი, უვეიტი, ქორიორეტინიტი)
 - წყლულოვანი პლეფარითები, დემოდეკოზი, დაქროციტიტი

- გლაუკომა - სანაყის სტადიაში გამოვლენა, მკურნალობა, მეტაბოლური
- შაქრიანი დიაბეტით დაზიანებული თვალის მკურნალობა - მეტაბოლური
- ბავშვთა მხედველობის დაცვა (სათვალის დადგენა, სიელმის მკურნალობა, თვალის გაზარდაცემა, მოპოპია)
- გერიატრიულ (ასაკობრივ) დაავადებათა მეტაბოლური და მკურნალობა
- თვალის დისტროფიული დაავადებების თანამედროვე მეთოდებით მკურნალობა

პაციენტების მიღებას აწარმოებს ოფთალმოლოგიაში დიდი გამოცდილების მქონე უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი ზურაბ მაისურაძე

მის: თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის 20.
 დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
 ტელ.: 91 31 19; 91 32 42. მობ.: (899) 103282

"საფილოს" იუბილეა ბრიტანული ბრენდ jimmy Choo-ს მოდელის პრეზენტაცია მოხდა

სოფო ჩინლაძე

ობიექტურ მალაზიათა ქსელი საფილო საქართველოში უკვე 5 წელია ფუნქციონირებს. საიუბილეო თარიღი ობიექტურმა კომპანიამ აქტიურ მომხმარებლებთან ერთად აღნიშნა. იუბილეზე საფილო კლუბის პრეზენტაცია მოეწყო, რომელსაც 200-ზე მეტი საპატიო წევრი ჰყავს, ესენი არიან აქტიური კლიენტები, პოპულარული სახეები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მათთვის მთელი წლის განმავლობაში დაგეგმილია სპეციალური ფასდაკლებები და წამახალისებელი გათამაშებები.

5 წლის იუბილეზე ობიექტურმა კომპანიამ საკუთარ მომხმარებელს ექსკლუზიურად, ახალი ბრენდის შემოტანის შესახებ აცნობა. საფილოს ქსელში უკვე შესაძლებელია ბრიტანული ბრენდის jimmy Choo მოდელების შექენა. ეს ძვირადღირებული ბრიტანული ბრენდი საფილოს კომპანიის მიერ იტალიაში მაღალი ხარისხის მასალით და ძვირფასი თვლებით მზადდება. საქართველოში jimmy Choo მოდელების ღირებულება 500-დან 700 ლარამდე მერყეობს. საფილოს ყველა ერთგულ მომხმარებელს დაურიგდება საფილოს კლუბის წევრის ბარათი. იმედი გვაქვს, ეს კლუბი კიდევ უფრო გაიზრდება და ჩვენს მომხმარებელს ბევრ სარგებელს მოუტანს... რაც შეეხება ახალ ბრენდს, jimmy Choo-ს ჩანთები და ფეხსაცმელები მთელს ევროპაში საკმაოდ პოპულარულია. ამ დიზაინერმა წელს პირველად გამოუშვა სათვალეების კოლექცია და, შესაბამისად, საქართველოში ეს ბრენდი პირველად შემოვიდა. ობიექტური მარკეტინგის საფილოს ქსელში 2015 წლამდე ექსკლუზიურად გაყიდის jimmy Choo-ს ბრენდს, - აცხადებს 24 საათთან საუბრისას ობიექტური კომპანია საფილოს გენერალური მენეჯერი თეიმურაზ გველეხიანი.


როგორც იუბილეზე გახდა ცნობილი, უკვე ამოქმედდა ვებ-გვერდი safilooptics.ge, სადაც ინტერნეტ-მომხმარებელი გაეცნობა ობიექტური კომპანიის სიახლეებს, ჩაერთვება კონკურსებსა და გათამაშებებში.



საფილოს 5 წლის იუბილეზე მონვეული სტუმრებისთვის ცნობილმა ქართველმა მოდელებმა საფილო ჯგუფში შემავალი მსოფლიო ბრენდების (Armani, Gucci, Dior, Mark Jacobs, Maxmara, boucheron, diessel, valentino და სხვა) 2009-2010 წლის მზისა და ობიექტური სათვალეების ჩვენება მოაწყვეს. აღსანიშნავია, რომ კომპანიაში კოლექციის განახლება ყოველ ორ კვირაში ერთხელ ხდება.

ხუთი წლის იუბილეს ობიექტურ

რი კომპანია საფილო 7 მალაზიით შეხვდა. 5 ობიექტური სალონი დედაქალაქშია გახსნილი, ორი კირევიონებში - ქუთაისსა და ბათუმში ფუნქციონირებს. 7 მალაზიიდან სამი გასულ წელს გაიხსნა, წელს კი ფინანსური კრიზისის გამო კომპანია გაფართოებას არ გეგმავს. ისევე როგორც ყველა სექტორს, ფინანსური კრიზისი ჩვენც შეგვეხო და საკმაოდ მტკივნეულად. თუმცა ფასდაკლებებით და სხვადასხვა აქციებით ვცდილობთ, კრიზისი დავძლიოთ.



ლით. დღეისათვის 2008 წლის კოლექციაზე 50-პროცენტის ფასდაკლება მოქმედებს, 2009 წლის კოლექციაზე კი 10-პროცენტის ფასდაკლებაა, თუმცა საფილო კლუბის წევრებისთვის 2009 წლის კოლექციაზე უფრო მეტი შეღავათები ვრცელდება, - გვითხრა საფილოს გენერალურმა მენეჯერმა.

აღსანიშნავია, რომ ობიექტური კომპანია საფილოს თითოეულ ფილიალში თანამედროვე ოფთალმოლოგიური კაბინეტი ფუნქცი

ციონირებს, სადაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მუშაობენ. საფილო დღეისათვის მსოფლიოში ცნობილ 30-მდე ბრენდს ყიდის, მათი რაოდენობა წლის ბოლომდე კიდევ გაიზრდება... საფილო ინოვაციურია, ახალ დიზაინერებს ყოველთვის დიდ ყურადღებას ვუთმობთ. მსოფლიოში ამ ბაზარზე თუ რაიმე სიახლე იქნება, ჩვენს მომხმარებელს აუცილებლად შევთავაზებთ, - ამბობს თეიმურაზ გველეხიანი.



1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

- 1 წლით ————— 52 ლარი;
- 6 თვით ————— 26 ლარი;
- 3 თვით ————— 13 ლარი;
- 1 თვით ————— 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;